

## სს „პუალინგ დაზღვევა“

მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება  
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით  
2019 წლის 31 დეკემბერი

## „პუალინგ დაზღვევა“

2019 წლის მმართველობის ანგარიში

### შინაარსი

კომპანიის პროფილი .....	3
მშობელი კომპანია .....	4
კომპანიის განვითარების სტრატეგია.....	5
ბიზნესის ანგარიში.....	6
სადაზღვეო ბაზრის მიმოხილვა.....	8
რისკების მართვა.....	9
კორპორაციული მმართველობა.....	10

## კომპანიის პროფილი

ბაზისბანკის შვილობილი კომპანია - ჰუალინგ დაზღვევა დაარსდა 2017 წელს. კომპანია შედარებით ახალი მოთამაშეა ბაზარზე, მაგრამ 2019 წელს მაინც შეძლო დაემკვიდრებინა ცნობადობა და მოეპოვებინა მომხმარებლის ნდობა და წელი დაესწრულებინა 16 მილიონი ლარის მთლიანი აქტივებითა და 1.6 მილიონი ლარის წმინდა მოგებით.

ჩვენი მისია კლიენტებისთვის ყველაზე მარტივი და მოქნილი სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებაა.

ჩვენი ხედვაა, კომპანია გახდეს კლიენტის რჩეული მზღვეველი საქართველოში და ამისათვის მივაწოდოთ მარტივი და გამჭირვალე მომსახურება.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი ღირებულებებით: **სამართლიანობა, სიმარტივე და ინოვაცია.**

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი გამჭვირვალე ურთიერთობაა. ამჟამად ჰუალინგის დაზღვევა მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან სადაზღვევო პროდუქტებს (ჯანმრთელობისა და აგრო დაზღვევის გარდა), როგორც საცალო, ისე კორპორატიული სეგმენტისთვის. მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი სადაზღვევო სერვისების პარალელურად, ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ინოვაციურები და გამოვიყენოთ მოწინავე ტექნოლოგიები, რათა ბაზარს შევთავაზოთ გაადვილებული გაყიდვის არხები.

საყოველთაოდ აღიარებულ **Bancassurance (BIM)** მოდელზე დაყრდნობით, „ჰუალინგ დაზღვევა“ ეფექტიანად იყენებს პარტნიორი ბანკის რესურსებს და კლიენტებს ბანკის ფილიალების ქსელის მეშვეობით მთელი ქვეყნის მასშტაბით აწვდის სწრაფ და მოქნილ სადაზღვევო პროდუქტებს. ამ თითოეული სიახლის შეთავაზებისას, კომპანია ხელმძღვანელობს სეგმენტზე ინდივიდუალურად მორგებული შეთავაზებით, მარტივი პირობებით და ადვილად გასაგები ენით. ამ მიდგომით სარგებლობს ასევე „ბაზისბანკის ფინანსური ჰოლდინგი“, რადგან იზრდება არსებული და პოტენციური მომხმარებელთა კმაყოფილების დონე, არამარტო საბანკო სერვისზე წვდომით, არამედ სთავაზობს ე.წ. „ფინანსური სუპერმაკერით“ სარგებლობას, სადაც ყველა ტიპის მომსახურება ხელმისაწვდომია „ერთი ფანჯრის პრინციპით“. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა კომპანია „ჰუალინგ დაზღვევას“ ბიზნესის წარმატების მთავარი ფაქტორია. ის ეფუძნება კომპანიის ბაზისბანკის ჯგუფის წევრობას და შესაძლებლობას, კომპანიამ კლიენტებს სრული ფინანსური სერვისები „ერთი ფანჯრის პრინციპით“, ერთ სივრცეში შეთავაზოს. სერვისები გაართიანებს: საბანკო პროდუქტებს, სადაზღვევო პროდუქტებს, ლიზინგსა და ფაქტორინგს. „ჰუალინგ დაზღვევის“ სხვა კონკურენტული უპირატესობებია: მომხმარებლისათვის ციფრული

გაყიდვების და ზარალის ანაზღაურების არხებით სარგებლობა, ძლიერი საერთაშორისო ინვესტორი, მაღალი რეპუტაციის მქონე გადამზღვეველები, პროდუქტების და მომსახურების მოქნილობა და სიმარტივე და ძლიერ პროფესიონალთა გუნდი. ხსენებული უპირატესობები კომპანიას საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს და გაზარდოს მოქნილობა და კლიენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჰქონდეს მმართველობის მარტივი სტრუქტურა და მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილებები.

„ჰიულინგის დაზღვევის“ მიერ 2019 წელს განხორციელებული ყველა ქმედება მის ძირითად ფასეულობებს (სამართლიანობა, სიმარტივე და ინოვაცია) შეესაბამება. ზოგიერთი ძირითადი სიახლე, რომელიც ჩვენს მომხმარებელს გავაცანით იყო: 1) ახალი ვებ გვერდი [www.hi.ge](http://www.hi.ge), რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებელს მარტივად შეიძინოს სადაზღვევო პროდუქტი დისტანციურად; 2) დაიწყო პარტნიორობა ციფრულ ბიზნესთან, როგორიცაა მანქანების გაქირავება, ამრიგად ჩვენს მომხმარებლებს შეუძლიათ მანქანის დაქირავება და დისტანციურად ავტომატურად გააქტიურონ მანქანის დაქირავების დაზღვევის ჩვენი პოლისი; 3) საცალო ბაზარზე დაინერგა რამდენიმე ახალი პროდუქტი, რომლებმიც მინიმალური გამონაკლისებია მანქანებისა და ქონების დაზღვევისთვის; 4) ჩვენი კორპორატიული მომხმარებლებისთვის შეიქმნა საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტი;

## მშობელი კომპანია

ბაზისბანკი საქართველოს საფინანსო ბაზრის გამორჩეული წევრია, რომელიც 26 წელია, წარმატებით უწევს ფინანსურ მომსახურებას როგორც ფიზიკურ პირებს, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტს. ბაზისბანკის 132,000 კლიენტს საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 24 ფილიალში 510-მდე თანამშრომელი ემსახურება.

მისი მთავარი აქციონერი ჩინური კონგლომერატი, საქართველოს უმსხვილესი აქციონერი ჰულინგ ჯგუფია, რომელმაც 2012 წელს ბანკის აქციათა 90% შეისყიდა, დღეს კი მათი წილი 92.305%-ს შეადგენს. ჰულინგ ჯგუფი ქართულ ბაზარზე 2006 წლიდანაა წარმოდგენილი და საქართველოში 550 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

ბაზისბანკი ბაზარზე თავის 1.7 მილიარდი ლარის აქტივებით მე-4 ადგილზეა. ბაზისბანკს კაპიტალის მყარი ბაზა და მაღალის ხარისხის აქტივები აქვს, რაც შესაბამისად აისახა სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიერ 2019 წელს დადასტურებულ რეიტინგში: ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი B+ (სტაბილური პერსპექტივით).

ბაზისბანკის ამოცანაა, იყოს მძლავრი ფინანსური ჯგუფი, რომელიც სრული სპექტრის

ფინანსური მომსახურების - საბანკო, დაზღვევის და ლიზინგის შესაძლებლობებს აერთიანებს, რაც საშუალებას მისცემს, ბაზარზე უფრო ძლიერი მოთამაშე გახდეს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის ათვისებით, კარგად იყოს პოზიციონირებული თავის ზრდის მიზნების შესასრულებლად და ქვეყანაში უფრო ფართო ქსელით იყოს წარმოდგენილი, თან კლიენტთა მძლავრი ბაზა და კაპიტალის ჯანსაღი სტრუქტურა უმაგრებდეს ზურგს.

ბანკმა თავისი ბრენდის იდენტობა სამი პრინციპის ირგვლივ გააერთიანა. ესენია: სისწრაფე, ხარისხი და მოქნილობა. ბანკის ერთგული პროფესიონალები კლიენტებთან ყოველდღიური მუშაობისას ამ კორპორაციული ღირებულებებით ხელმძღვანელობენ.

კონკურენტული პოზიციის გაძლიერების და გაზრდის, სრული სპექტრის ფინანსური მომსახურების გაწევის და კლიენტთა უფრო ფართო ბაზის შეძენის მიზნით, ბანკმა 2017 წელს მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური ინდუსტრიის ახალ სექტორებზე გადასვლის, მომსახურების მეტი დივერსიფიკაციის და ბიზნესის მეტი მთლიანობის შესახებ და თავის საქმიანობას ორი სტრატეგიული ბიზნესმიმართულება: დაზღვევა და ლიზინგი დაუმატა. ბაზისბანკის ქოლგის ქვეშ სამი შვილობილი კომპანია ერთიანდება: ჰუალინგ დაზღვევა, BHL ლიზინგი და BAMH აქტივების მართვის პოლდინგ-კომპანია. სამივე ფრთის კოორდინირებული მუშაობა ჯგუფს რესურსების სინერგიის, დროის დაზოგვის და საქართველოს ბაზარზე პროდუქტებზე უკეთესი წვდომის უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს.

კომპანიის შექმნის წინაპირობა. ბაზისბანკის ჯგუფი (შემდგომში: „ჯგუფი“) მუშაობს თავისი სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად, მისი კლიენტებისთვის „ერთი ფანჯრის კონცეფციის“ გამოყენებით ყოვლისმომცველი ფინანსური პროდუქტების ინდივიდუალური მიმწოდებელი იყოს, რაც სიღრმისეულ ფინანსურ ექსპერტიზას და ინდუსტრიის სექტორების ამომწურავ ცოდნას ეფუძნება. ჯგუფის შვილობილმა კომპანიებმა საქმიანობა ცოტა ხნის წინ დაიწყეს და თავიანთი პროდუქტების შეთავაზებების საშუალებით უკვე შეიტანეს წვლილი ჯგუფის 2019 წლის წმინდა მოგების 4.4%-ის გამომუშავებით.

## კომპანიის განვითარების სტრატეგია

„ჰუალინგ დაზღვევა“ ჯგუფის 132 000 მომხმარებელს ერთიან, კომპლექსურ ფინანსურ მომსახურებას გაუწევს როგორც ბაზისბანკის ფილიალების, ისე დისტანციური არხების საშუალებით. სასარგებლო სერვისები მოიცავს: სესხებს, აკრედიტივებს და გარანტიებს, დაზღვევას (სიცოცხლის, ავტოდაზღვევა, ბიზნესის უწყვეტობის, მშენებლობასთან დაკავშირებული რისკების, ქონების და ა.შ.) კონვერტაციას, გზავნილებს, საოპერაციო სერვისებს, დეპოზიტებს, ლიზინგის მრავალფეროვან

არჩევანს და ფაქტორინგს.

„ერთი ფანჯრის პრინციპით“ სრული სპექტრის მომსახურების გასაწევად ჯგუფი აპირებს, შექმნას ერთიანი ვირტუალური პლატფორმა მომხმარებლისთვის. სადაზღვევო და ლიზინგ პროდუქტები, ერთად იქნება ინტეგრირებული ბაზისბანკის არსებულ ონლაინ ბანკინგ პლატფორმასთან. 2019 წელს შეიქმნა გაყიდვების პორტალი ბანკის თანამშრომლებისათვის, რომლის მეშვეობითაც სტანდარტიზებული სადაზღვევო პროდუქტები ბანკის დესკიდანვე გაიყიდება და განხორციელდება სტანდარტიზებული საცალო სალიზინგო განაცხადების მიღება.

„ჰიუალინგ დაზღვევამ“ ახლახანს გაუშვა ვებ-გვერდი [www.hi.ge](http://www.hi.ge), რითიც ხალხს შეუძლია მარტივად ციფრულად შეიძინონ პროდუქტი. ასევე, სადაზღვევო პროდუქტები გაიყიდება შემდეგი ციფრული გაყიდვების არხებით: ბაზისბანკის ინტერნეტ ბანკინგი [www.bankonline.ge](http://www.bankonline.ge); [www.bank.ge](http://www.bank.ge); ფეისბუქ მესინჯერის ბოტი და სწრაფი გადახდის აპარატები. ამასთანავე სხვადასხვა ციფრულ ბინზესებთან თანამშრომლობით იგეგმება ონლაინ გაყიდვების წახალისება. ერთ-ერთ ასეთ არხთან უკვე დაიწყო თანამშრომლობა 2019 წელს, მანქანების გაქირავების სერვისის კომპანიასთან [www.tripcars.com](http://www.tripcars.com)-თან, სადაც ჩვენი ავტო დაზღვევა მიბმულია და იყიდება მანქანის გაქირავების სერვისთან ერთად.

ჯგუფის ორი მნიშვნელოვანი მიმართულება: დაზღვევა და ლიზინგი მომავალ წლებშიც პრიორიტეტული იქნება. ბანკი აქტიურად განაგრძობს ამ სფეროების შემდგომ განვითარებას მიზნობრივ კლიენტებზე პროდუქტების ჯვარედინი გაყიდვის გზით. ასეთი მიდგომა ჯგუფს მძლავრ ფინანსურ ცენტრად აქცევს, რომელსაც სრული სპექტრის ფინანსური მომსახურება ექნება.

ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებით ჯგუფი განაგრძობს თავის სტრატეგიულ სეგმენტში - მცირე და საშუალო ბიზნესის, კორპორაციულ და საცალო საბანკო მიმართულებებში - პოზიციების გამყარებას. იგი მეტ ყურადღებას დაუთმობს საცალო საბანკო საქმიანობას არა ფილიალების ქსელის ზრდით, არამედ პროდუქტებისა და მომსახურების დისტანციურად მიწოდებით, ყველაზე მოსახერხებელი გზით. ჯგუფი დააჩქარებს კლიენტზე ორიენტირებული მოდელის დანერგვას, უფრო ეფექტური დაფარვით.

### ბიზნესის ანგარიში

სს „ჰიუალინგ დაზღვევა“ 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. ბაზისბანკმა მის საწყის კაპიტალში 4 300 000 ლარის ინექცია განახორციელა. კომპანია ამ ეტაპზე არ განიხილავს ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაში შესვლას, ხოლო არაჯანმრთელობის დაზღვევის ჭრილში კი უახლოეს 4 წელიწადში 5-ეულში მყარი პოზიციის დაკავებაა განსაზღვრული.

კომპანიის ძირითადი ფოკუსი ავტოდაზღვევაა, რადგან ამ მიმართულებით საქართველოს ბაზარი პრაქტიკულად აუთვისებელია და დღესდღეობით რეგისტრირებული ავტოპარკის მხოლოდ 10%-ია დაზღვეული. ხსენებულ სფეროში მაღალი პენეტრაციის მისაღწევად ჰუალინგ დაზღვევა პირველ რიგში მოსახლეობისათვის მარტივად გასაგები პროდუქტების შექმნას გეგმავს, რაც სადაზღვევო შემთხვევების მინიმალურ გამონაკლისებსა და ზარალის ანაზღაურების მარტივ მიდგომებს გულისხმობს. ამავდროულად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის სიმარტივეს: კომპანია აპირებს სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვას მომხმარებლისათვის უკვე შეჩვეულ ისეთ ადგილებში, როგორებიცაა: გადახდების აპარატები, ბანკი, ფეისბუქ გვერდი და სხვა.

რაც შეეხება მომხმარებელთა სეგმენტაციას, „ჰუალინგ დაზღვევა“ თანაბრად ფოკუსირებულია როგორც კორპორაციულ კლიენტურაზე, ისე საცალო სეგმენტზე. კორპორაციული კლიენტურის მიმართ ჩვენი პრიორიტეტია იქნება მოქნილი და გამჭვირვალე მიდგომა მათი საჭიროების შესაბამისად, ხოლო საცალო სეგმენტისათვის კი ზემოთხესენებულ პრიორიტეტებს ემატება სიმარტივე როგორც პროდუქტებში, ისე პროდუქტების მიწოდების გზებშიც.

2019 წელს, „ჰუალინგ დაზღვევამ“ დაიწყო პროდუქტების ციფრული გაყიდვის არხების შექმნა, რაც გაგრძელდება 2020 წელს და კომპანიას ბევრ სიახლეს მოუტანს. 2020 წელს კომპანია გეგმავს ინვესტიციებს ტექნოლოგიებში. ახალი, თანამედროვე შიდა პროგრამა, ინტერნეტ-გაყიდვები, ფეისბუქის ბოტი და მომხმარებლის კაბინეტი ჩვენი კლიენტებისთვის მარტივ და სწრაფ მომსახურებას უზრუნველყოფს. ციფრული მომსახურების დანერგვა კომპანიის თანამშრომლებს საშუალებას მისცემს, უფრო უკეთეს შედეგებს მიაღწიონ.

## სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრიას დიდი პოტენციალი აქვს. ეს განსაკუთრებით ეხება სიცოცხლის დაზღვევას და სავალდებულო დაზღვევის ზოგიერთ ტიპს, რადგან ევროგაერთიანების და განვითარებული ქვეყნების ჩვეულებრივი პრაქტიკის ნაწილია.

დაზღვევის მოქმედი კანონი იძლევა საშუალებას ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე სექტორმა მოახდინოს ბაზარზე სიახლის შემოტანა და ამავდროულად სტაბილური მარეგულირებელი გარემო შენარჩუნდეს სექტორში.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო სექტორის განვითარება მნიშვნელოვანი წილად არის დამოკიდებული ქვეყანასი სავალდებულო დაზღვევების არსებობაზე. სამწუხაროდ დღესდღეობით საქართველოში არსებული სავალდებულო დაზღვევები არ წარმოადგენს დიდ მოცულობას. ამჟამად დაზღვევის სფეროში მოქმედებს შემდეგი სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნები:

- კანონი უცხოეთში რეგისტრირებული და საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე ავტომობილების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევაზე.
- ნორმატიული აქტი ნოტარიუსების შესახებ, რაც გულისხმობსნოტარიუსთა პროფესიული ანაზღაურების დაზღვევას.
- ნორმატიული აქტიბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ (რაც გულისხმობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების თანახმად აუდიტორთა პროფესიული ანაზღაურების დაზღვევას).
- კანონი სამსახურებრივი უსაფრთხოების შესახებ (რაც გულისხმობს დასაქმებულთა კომპენსაციის დაზღვევას).
- მთავრობის დადგენილება მასობრივი თავშეყრის განსაზღვრების და მასზე პასუხისმგებელ პირთა სავალდებულო სამოქალაქო ვალდებულების დაზღვევის პირობების შესახებ.

უნდა აღინიშნო, რომ მსოფლიოში მიღებული მთავარი სავალდებულო დაზღვევის სახეობა რაც ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას გულისხმობს ჯერჯერობით საქართველოში არ მოქმედებს, თუმცა მის შემოღებაზე მიმდინარეობს აქტიური დისკუსიები და ის სადაზღვევო ბაზარს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ნებაყოფლობითი ჯანმრთელობის დაზღვევა დამზღვევთა საერთო პორტფელის ყველაზე დიდ წილს იკავებს (37%) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის ყოველწლიურად მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდება და განსხვავებით ავტომობილის და ქონების დაზღვევისა ნაკლებად მოსალოდნელია ამ მიმართულებით მოხდეს ისეთი გარღვევა, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის არსებულ სურათს და პერსპექტიულს გახდის დარგს.

აღსანიშნავია, რომ რეგულაციის კუთხით, სადაზღვევო სექტორის ზედამხედველმა

## 2019 წელს განახორციელად და გეგმავს ახლო მომავალში წარადგინოს შემდეგი ცვლილებები:

- რისკის მიხედვით წმინდა დაყოვნების (გადაზღვევის) კოეფიციენტის დადგენა(2019);
- სადაზღვევო შუამავლების შესახებ რეგულაცია (2019);
- მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების გაზრდა 7.2 მილიონ ლარამდე (31 დეკემბერი 2020)
- Solvency II სტანდარტების ნაწილობრივ თანმიმდევრული იმპლემენტაცია (2022/23).

### რისკების მართვა

კომპანიის გუნდის თითოეული წევრი ორიენტირებულია არსებული და პოტენციური კლიენტებისთვის მათ საჭიროებაზე მორგებული პროდუქტების მიწოდებაზე, რასაც წინ უმღვის რისკების ღრმა შესწავლა და ანდერრაიტინგის პოლიტიკისადმი სწორი მიდგომა.

„ჰუალინგ დაზღვევა“ აფასებს ყველა შესაძლო რისკს და განსაზღვრავს კომპანიის ე.წ „რისკიანობის გონივრულ აპეტიტს“

წლიური ზარალების სიხშირე და სიმძიმე შესაძლებელია იყოს მოსალოდნელზე მეტი, მიღებული სტატისკური ანალიზის ჩატარების მიუხედავად. სწორედ ამიტომ, კომპანიაში დანერგილია ანდერაიტინგის და გადაზღვევის კონკრეტული სახელმძღვანელოები, რაც საშუალებას იძლევა, სრულად გაკეთდეს რისკის ანალიზი და განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, რათა კომპანიის კლიენტებს მიეწოდოთ ადეკვატური პირობები.

„ჰუალინგ დაზღვევას“ ასევე შემძილი აქვს თრითის (Treaty Reinsurance) გადაზღვევა წამყვან, მაღალრეიტინგულ გადამზღვეველ კომპანიებთან როგორც სიცოცხლის, ისე არა-სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. კომპანია ასევე თანამშრომლობს კლიენტების ინტერესთა დასაცავად, ნდობით აღჭურვილ და მაღალრეიტინგულ კომპანიებთან, ფაკულტატური გადაზღვევის მიმართულებით. კომპანიის პარტნიორთა სიაში არიან გადამზღვეველი კომპანიები და გადაზღვევის ბროკერები, რომლებიც წარმოდგენილი არიან ლოიდსის და სხვა საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ადასტურებს მათ მაღალ რეპუტაციას და სტაბილურობას.

„ჰუალინგ დაზღვევის“ ზოგადი ხედვა, რისკების მართვასთან დაკავშირებით ემყარება რისკების შემცირებას, საკუთარი პორტფელის დივერსიფიკით, ზუსტი ანდერრაიტინგით, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზარალების რისკების გადაზღვევით, საკურსო სხვაობის ეფექტის მინიმიზაციასა და საზედამხედველო კაპიტალის მაღალი დონის შენარჩუნებას, რათა იგი იყოს გამოყენებული, როგორც ბუფერი ყველა შესაძლო რისკისა სადაზღვევო ბაზარზე.

## კორპორაციული მმართველობა

კომპანია “ჰუალინგ დაზღვევის” მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.


აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. ის წარმართავს აქციონერთა საერთო კრებას. კრება იღებს კომპანიისთვის ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორებიცაა: წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, აქციების ბაზარზე გატანა, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და მისი ბიუჯეტის დამტკიცება, წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება, წმინდა მოგების განაწილება და გამოყენება, კაპიტალის ზრდა/შემცირება.

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის პოლიტიკას, აძლევს შესაბამის ინსტრუქციებსა და მითითებებს მის დირექტორატს. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება. იგი ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, უზრუნველყოფს საიმედო და ეფექტური შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ზედამხედველობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და თავისი საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ 4 (ოთხი) წლის ვადით, მაგრამ მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორს და მისი მოადგილეებს და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას, ირჩევს კომპანიის აუდიტორს. საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები. საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის შესახებ მოახსენებს საერთო კრებას.

დირექტორატი საქმიანობას წარმართავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული საქმიანობის პოლიტიკის შესაბამისად, ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორის (რომელიც ხელმძღვანელობს დირექტორატის მუშაობას) და

და გენერალური დირექტორის 4 (ოთხი) მოადგილისგან - კომერციული, საოპერაციო და ფინანსების მიმართულებებით. ისინი აირჩევიან 4 (ოთხი) წლის ვადით. გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილეების ხელმძღვანელობის და სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს მათი უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის სახელით გადაწყვეტილებების მიღების და კომპანიის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის უფლებას.

## ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანია „ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაა:

### მი ზაიქი - თავმჯდომარე

სს „ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობის პარალელურად მი ზაიქი არის სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე და „BHL ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მი ზაიქიმ ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო. 2011 წლიდან დღემდე ზაიქი მი სინმიანგ ჰუალინგ ვაჭრობის და ინდუსტრიის ჯგუფის, ანუ ჰუალინგ ჯგუფის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილე და ჰუალინგ ჯგუფის საქართველოს ფილიალის გენერალური მენეჯერის ადმინისტრაციის დირექტორია. 2010-2011 წლებში ის ჰუალინგის უძრავი ქონების განვითარების კომპანიაში დირექტორის ასისტენტად მუშაობდა, 2005-2006 წლებში კი ჰუალინგის სასტუმროში გენერალური მენეჯერის ასისტენტი იყო.

### დავით ცავა - წევრი

„ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2017 წლის დეკემბრიდან. ბაზისბანკის სხვა შვილობილი კომპანიის: „BHL ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ამავე პერიოდიდან დღემდე. ბაზისბანკის გენერალური დირექტორი 2011 წლიდან. 2015-2018: ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დავით ცავას საფინანსო სფეროში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება აქვს. ბაზისბანკიში კარიერა 2004 წელს საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო, მოგვიანებით კი, 2008 წლამდე, კორპორაციული სესხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2008-2010 წლებში კორპორაციული მიმართულების დირექტორად დაინიშნა, 2010-2011 წლებში კი გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.

დავით ცავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბანკო საქმის და ფინანსების ბაკალავრის ხარისხი მიიღო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში კი ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

### ლი ხვეი - წევრი

სს „ჰუალინგ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის პარალელურად, ლი ხვეი არის სს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე დაკრედიტების მიმართულებით და სს „BHL ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2015-2018: სს „ბაზისბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ლი ხვეის ბუღალტრული აღრიცხვის ბაკალავრის ხარისხი აქვს. ფინანსურ სექტორში 1993 წლიდან მუშაობს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბუღალტრის და საკრედიტო ოფიცრის პოზიციებზე. აქვს მუშაობის და მართვის მდიდარი გამოცდილება და კარგად იცნობს საბანკო ბიზნესს. ურუმჩის კომერციული ბანკის საკრედიტო დეპარტამენტში კრედიტების დამტკიცების მიმართულებას ხელმძღვანელობდა. შემდეგ ურუმჩის საკრედიტო კოოპერატივების საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე და დირექტორის მოადგილე იყო. ლი ხვეი ბაზისბანკის დირექტორთა საბჭოს 2015 წელს შემოუერთდა. ის მსხვილი სესხების დამტკიცებას უწევს ზედამხედველობას.

კომპანია „ჰუალინგ დაზღვევის“ დირექტორატის შემადგენლობაა:

### კონსტანტინე სულამანიძე - გენერალური დირექტორი

მიმდინარე პოზიციები:

- გენერალური დირექტორი სს „ჰუალინგ დაზღვევა“ 2019 წლის თებერვლიდან
- გენერალური დირექტორი სს „ბიეიჩელ ლიზინგი“ (ჯგუფის სხვა შვილობილი კომპანია) 2019 წლის იანვრიდან

კონსტანტინე სულამანიძეს აქვს 17 წლიანი მუშაობის გამოცდილება უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის პოზიციებზე ბანკი/დაზღვევა/ლიზინგის და საქართველოში მოქმედი ფინანსური ზედამხედველობის სამსახურში. იგი იყო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი. ასევე იყო გენერალური დირექტორი სს „პროგრეს ბანკში“ და ეკავა დაკრედიტის დირექტორის თანამდებობა სს „ბანკი რუსპუბლიკა“ სოსიეტე ჟერენალ ჯგუფში. მისი პროფესიული გამოცდილება ასევე მოიცავს საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სამსახრის უფროსის თანამდებობას და რამოდენიმე მმართველ პოზიციას სს „ვითიბი ბანკში“

კონსტანტინე სულამანიძეს აქვს მინიჭებული დოქტორის ხარისხი საბანკო რისკების მართვაში და ასევე ფლობს ჰალტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლის მაგისტრანტის ხარისხს, როდესაც იგი ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთსა და ა.შ.შ.-ში.

### ლია ასლანიკაშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით

სს „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2018 წლის დეკემბრიდან. ბაზისბანკის ჯგუფის წევრი კომპანიის „BHL ლიზინგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე 2018 წლის დეკემბრიდან. 2017-2018 წლებში: „BHL ლიზინგის“ გენერალური დირექტორი. ლია ასლანიკაშვილი ასევე არის სს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით 2012 წლიდან. ლია ასლანიკაშვილს საბანკო სექტორში მუშაობის 19-წლიანი გამოცდილება აქვს. 1999-2002 წლებში ბანკის საერთაშორისო ოპერაციების დეპარტამენტის მენეჯერი იყო, 2002-2005 წლებში, ამავე დეპარტამენტს ხელმძღვანებლობდა. 2005-2007 წლებში ანგარიშსწორების დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში, 2007-2008 წლებში კი ხაზინის დეპარტამენტის უფროსი გახდა. 2008-2012 წლებში ის ფინანსური დირექტორის პოზიციაზე მუშაობდა.

ლია ასლანიკაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო უკონომიკურ ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული.

**ნინო ჭედია - გენერალური დირექტორის მოადგილე კომიტეტის მიმართულებით „ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილეობამდე ნინო ჭედია „ბაზისბანკის“ მარკეტინგის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მას საფინანსო სფეროში მუშაობის 16-წლიანი გამოცდილება აქვს. ასოცირებული პროფესორი ნინო ჭედია არის ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრი, სტრატეგიული მართვის, ორგანიზაციული ქცევისა და ლიდერობის მიმართულებით. ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის მაგისტრის ხარისხს ფინანსების მიმართულებით (MBA), არის კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრი მარკეტინგში (BBA), ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის ბაკალავრი ეკონომიკურ ინფორმატიკაში. სწავლობდა მართვას ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ პრესტიულ ბიზნესის სკოლაში IEDC ბლედის მართვის სკოლაში, სლოვენიაში. 8 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა ბიზნეს სკოლაში, მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ნინო ჭედიას პროექტების მართვის, მათ შორის კომპანიების ტრანსფორმაციის, ორგანიზაციის ცვლილების, კომიტეტის ბიზნესის და კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბების მდიდარი გამოცდილება აქვს.**

### **შოთა სვანაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით**

**„ჰუალინგ დაზღვევის“ გენერალური დირექტორის მოადგილეობამდე შოთა სვანაძე სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ დირექტორის მოადგილე იყო. წლების განმავლობაში, 2004 წლიდან მოყოლებული, ამავე კომპანიაში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობდა. შოთა სვანაძეს სადაზღვევო სფეროში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება აქვს. 2013 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების მართვის ხარისხი მიიღო, 2008 წელს გაიარა ამავე უნივერსიტეტის და ESM-ის საბაზისო მართვის პროგრამა (Pre-MBA). 2004 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი.**

### **ლევან პიტიურიშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე საოპერაციო მიმართულებით**

სანამ ლევან პიტიურიშვილი დაიკავებდა საოპერაციო მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას „ჰუალინგ დაზღვევაში“, იგი იყო ბეჭოფისის დეპარტამენტის უფროსი ამავე კომპანიაში. მას გააჩნია საბანკო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. მან შეიცვალა რამოდენიმე მენეჯერული პოზიცია „ბანკ რესპუბლიკა“-ში და „საქართველოს ბანკში“, როგორც ბეჭ ოფისის სამსახურის უფროსი და ანგარიშსწორების განყოფილების უფროსის მოადგილის პოზიციებზე. მან მოიპოვა პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაციის სერტიფიკატი (ACCA) 2006 წელს. 2000 წელს ლევან პიტიურიშვილმა მიიღო ბაკალავრის ხარისხი პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებით.

სს „ჰუალინგ დაზღვევა“

ფინანსური ანგარიშგება  
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით  
2019 წლის 31 დეკემბერი

## **სარჩევი**

### **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში .....	2
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში .....	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიში .....	4
ფინანსური ანგარიშების განმარტებები.....	5

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰუალინგ დაზღვევის“ აქციონერებს და მენეჯმენტს

### ჩვენი დასკვნა

ჩვენი დასკვნით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები ყველა არსებითი ასპექტით სამართლიანად წარმოადგენს სს „ჰუალინგ დაზღვევის“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

### რას ჩაუტარდა აუდიტი

ფინანსური ანგარიშები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშების განმარტებებს, რომლებიც მოიცავს ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განხილულია ჩვენი ანგარიშის თავში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულება საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის.



## დამოუკიდებლობა

პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების მუხლის თანახმად, (IESBA კოდექსი), ჩვენ დამოუკიდებელი ვართ. ჩვენ ასევე შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური მოვალეობები.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ არა ფინანსურ ანგარიშებს და აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით არ ვრცელდება მენეჯმენტის ანგარიშზე.

ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მენეჯმენტის ანგარიშს და მისი გაცნობის დროს განვიხილოთ, ხომ არ არსებობს რაიმე არსებითი უზუსტობა მენეჯმენტის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშებს შორის ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის ის სხვაგვარად არსებითად არაზუსტი. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად დავასკვნით, რომ რომ მენეჯმენტის ანგარიშში არსებით უზუსტობას აქვს ადგილი, მოგვეთხოვება, ამ ფაქტის შესახებ განვაცხადოთ და ანგარიშში ავსახოთ. ამ მხრივ განსაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შესაბამება თუ არა შესაბამის საზედამხედველო ნორმატიულ აქტებს მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები და ვიმსჯელოთ იმაზე, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი დასკვნით:

- იმ ფინანსური წლის მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშები, შესაბამება ფინანსურ ანგარიშებს;
- მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

### ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მენეჯმენტის და მმართველობის ფუნქციის მქონე პირების მოვალეობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; ის ასევე პასუხისმგებელია ისეთ შიდა კონტროლზე, როგორსაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომლებმიც არ იქნება არსებითი უზუსტობები, სულერთია ტყუილის, თუ შეცდომის შედეგად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, მენეჯმენტის მოვალეობაა, შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საჭიროებისას გაამჟღავნოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდი, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას, ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამგვარი ქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე არიან პასუხისმგებელი.

### აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშების აუდიტან დაკავშირებით

ჩვენი ამოცანებია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ მთლიანად ფინანსურ ანგარიშებში არსებითი უზუსტობები არ არის, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, და გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არაა იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის მიაკვლევს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და არსებითად ითვლება, თუ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, აჩენს გონივრულ მოლოდინს, რომ გავლენას მოახდენს მომხმარებლების მიერ ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით გაკეთებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარება მოითხოვს, აუდიტის განმავლობაში ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს, სულერთია ტყუილის თუ შეცდომის შედეგად, ვამზადებთ და ვასრულებთ აუდიტის ისეთ პროცედურებს, რომლებიც ასეთ რისკებზეა ორიენტირებული და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატურია ჩვენი დასკვნის საფუძვლის ჩამოყალიბებისთვის. იმის რისკი, რომ აუდიტი ვერ მიაკვლევს ტყუილით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის ვერმიკვლევის, რადგან ტყუილი შეიძლება გულისხმობდეს საიდუმლო შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციებს ან შიდა კონტროლის გადამეტებას.
- ვიღებთ აუდიტისთვის რელევანტურ ინფორმაციას შიდა კონტროლის შესახებ, გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურების მომზადების მიზნით და არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის კანონზომიერებას და მენეჯმენტის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო პროგნოზების და მასთან დაკავშირებული გამჟღავნებების გონივრულობას.
- ვამზადებთ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერად იყენებს მენეჯმენტი ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო მეთოდს და მიღებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით, არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვან ეჭვეჭვება დააყენოს კომპანიის უნარი, უშაობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენი მოვალეობაა, აუდიტის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშის შესაბამის გამჟღავნებებში, ან, თუ ასეთი გამჟღავნებები არაა დეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს მიღებულ აუდიტის მტკიცებულებებს ეფუძნება. თუმცა, მომავლის მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით მუშაობის გაგრძელების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების საერთო პრეზენტაციას, სტრუქტურას და შინაარსს, გამჟღავნებების ჩათვლით; ასევე იმას, წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები მიმდინარე ტრანზაქციებს და მოვლენებს იმგვარად, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი.

მმართველობის ფუნქციის მქონე პირებთან ვაწარმოებთ კომუნიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და ვადებზე, აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებზე, მათ შორის აუდიტის დროს აღმოჩენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

შპს „ფრაის ვოტერჭაუს კუპერსი საქართველო“




(Reg.#SARAS-F-775813)

PricewaterhouseCoopers Georgia LLC

ლაშა ჯანელიძე (ხელმოწერა) (Reg.#SARAS-A-562091)

15 აპრილი, 2020

თბილისი, იურიდიკური და ფინანსური სამსახური



**სს პუალინგ დაზღვევა  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში**

<b>ფინ ანგ მუხლები</b>	<b>განმარ ტება</b>	<b>31-დეკ-19</b>	<b>31-დეკ-18 (ხელას. განცად.)</b>
ფული და ფულის კვივალენტები	9	514,554	367,965
საბანკო დეპოზიტები	10	7,240,324	6,035,690
საინვ ფას ქაღ ვადის დადგ ფლობით	11	300,095	-
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	12	3,725,714	2,097,066
გადაცემ წილი სადაზღვ ხელშეკრ შექმნ რეზერვ	13	3,515,339	1,913,982
გადავად შესყიდ ხარჯები		-	7,683
სხვა აქტივები	14	107,107	49,027
ქონება და მოწყობილობა		52,022	25,153
არამატერიალური აქტივები		67,294	23,909
<b>მთლიანი აქტივები:</b>		<b>15,522,449</b>	<b>10,520,475</b>
სააქციო კაპიტალი	17	4,300,000	4,300,000
გაუნაწილებელი მოგება		1,594,721	6,340
წლის მოგება		1,640,052	1,588,381
<b>მთლიანი კაპიტალი:</b>		<b>7,534,773</b>	<b>5,894,721</b>
სადაზღვევო კონტრაქტ რეზერვები	13	4,425,250	2,433,404
გადაზღვევოს საკომისიოს რეზერვი		406,032	150,529
გადაზღვევის გადასახდ ხარჯ		2,840,049	1,706,306
მიმდ მოგების გადასახ ვალდებულება	24	35,358	269,716
გადავად მოგების გადასახ ვალდებულება	24	3,244	6,547
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	147,850	49,174
სხვა ვალდებულებები	15	129,893	10,078
<b>მთლიანი ვალდებულებები:</b>		<b>7,987,676</b>	<b>4,625,754</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>15,522,449</b>	<b>10,520,475</b>

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2020 წლის 15 აპრილს.

კონსტანტინე სულამანიძე  
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი  
ფინანსური დირექტორი

**სს პუალინგ დაზღვევა  
მოქმედის ან ზარალის და სხვა სრული შემოსავის ანგარიში**

ფინ ანგ მუხლები	განმარტება	2019	2018 (ხელახლა განცხ)
მთლიანი მოზიდული პრემია გადამზღვეველისთვის გადაც მოზიდული პრემია		9,681,963 (6,141,195)	5,441,795 (2,738,499)
<b>წმინდა მოზიდული პრემიები</b>	<b>18</b>	<b>3,540,768</b>	<b>2,703,296</b>
გამოუმუშავებელი პრემიების ბრუტო რეზერვის ცვლილება		(1,832,641)	(2,350,550)
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვის ცვლილებაში		1,447,759	1,904,142
<b>წმინდა გამომუშავებული პრემიები</b>	<b>18</b>	<b>3,155,886</b>	<b>2,256,888</b>
საპროცენტო შემოსავალი გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი		751,301 435,282	491,042 42,644
<b>მთლიანი შემოსავალი</b>	<b>4,342,469</b>	<b>2,790,574</b>	
ანაზღაურებული ზარალები გადაზღვევის წილი ანაზღაურებულ ზარალებში აუნაზღაურებელი ზარალის ცვლილება გადაზღვევის წილი აუნაზღაურებელი ზარალის ცვლილებაშ სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღება		(1,527,863) 1,036,511 (159,205) 153,599 178,119	(101,063) 21,981 (82,855) 9,840 6,177
<b>წმინდა დამდგარი ზარალები</b>	<b>19</b>	<b>(318,839)</b>	<b>(145,920)</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები საერთო და ადმინ ხარჯები	21	(1,160,923) (556,134)	(324,457) (145,399)
შესყიდვის ხარჯები	21	(45,057)	(41,197)
გაუფასურების ხარჯი	23	(70,587)	-
ცვეთა		(10,502)	(1,327)
ამორტიზაცია		(4,616)	(91)
უცხოური ვალუტის მოგება/ზარალი		12,038	12,918
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(261,287)	(281,575)
<b>შემოსავალი/(ზარალი) დაბეჭვრამდე</b>		<b>1,926,562</b>	<b>1,863,526</b>
მოგების გადასახადი (ხარჯი)/კრედიტი	24	(286,510)	(275,145)
<b>წმინდა შემოსავალი (ზარალი)</b>		<b>1,640,052</b>	<b>1,588,381</b>
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		-	-
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი</b>		<b>1,640,052</b>	<b>1,588,381</b>

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში წაკითხული უნდა იქნას მის განმარტებებთან ერთად,  
რომლებიც ფინანსური ანგარიშის ნაწილია და მოცემულია 5-41 გვერდებზე.

**სს პულინგ დაზღვევა  
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში**

	31-დეკ-19	31-დეკ-18 (ხელახ განცხ)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო პრემია	5,029,222	2,502,991
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(1,211,164)	(242,159)
<b>წმინდა მიღებული სადაზღვევო პრემია</b>	<b>3,818,058</b>	<b>2,260,832</b>
<b>გადახდილი სადაზღვევო ზარალები</b>	<b>(801,385)</b>	<b>(50,167)</b>
გადახდილი ხელფასები და ბენეფიტები	(1,077,223)	(319,277)
საქონლის და მომს სხვა მომწოდ გადახდ ფული	(45,215)	(124,710)
ბანკის მიმდ ანგარიშ მიღებული პროცენტი	23,743	17,948
სუბროგაციიდან და კომპენს მიღ ფული	77,393	-
გადამზღვეველებისგან მიღებული საკომისიო	35,502	-
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(483,711)	(121,399)
<b>წმ ფულ ნაკ მოძრ საოპერაც საქმიანობიდან მოგების გადასახადამდე</b>	<b>1,547,162</b>	<b>1,663,227</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(524,124)	-
<b>წმ ფულ ნაკ მოძრ საოპერაც საქმიანობიდან</b>	<b>1,023,038</b>	<b>1,663,227</b>
<b>ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში</b>		
ქონების და მოწყობილობის შესყიდვა	(91,396)	(44,455)
საბანკო დეპოზიტების განთავსება	(7,650,000)	(5,945,336)
საბანკო ანაბრების ანაზღაურება	6,645,336	-
მიღებული პროცენტი	526,202	383,047
ინვესტიციები აქტივებში ვადის დადგ ფლობით	(300,000)	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(869,858)</b>	<b>(5,606,744)</b>
<b>ფულადი ნაკადების მოძრაობა დაფინანსების საქმიანობიდან</b>		
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოს.	48,000	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(48,354)	-
<b>წმინდა ფულადი ნაკადების მოძრაობა დაფინანსების საქმიანობიდან</b>	<b>(354)</b>	<b>-</b>
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(6,237)	4,023
<b>ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>	<b>146,589</b>	<b>(3,939,494)</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>367,965</b>	<b>4,307,458</b>
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>514,554</b>	<b>367,964</b>

**სს პუალინგ დაზღვევა  
კაპიტალის კვლილების ანგარიში**

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
<b>ბალანსი 2018 წლის 1 იანვარს</b>	<b>4,300,000</b>	<b>6,340</b>	<b>4,306,340</b>
2018 წლის მოგება (ხელახლა განცხ)	-	1,588,381	<b>1,588,381</b>
<b>ბალანსი 2018 წლის 31 დეკ (ხელახლა განცხ)</b>	<b>4,300,000</b>	<b>1,594,721</b>	<b>5,894,721</b>
2019 წლის მოგება	-	1,640,052	<b>1,640,052</b>
<b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,300,000</b>	<b>3,234,773</b>	<b>7,534,773</b>

**სს ჰუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანგარიშგების ანგარიშგები - 2019 წლის 31 თებერვალი**

---

**1 კომპანიის შესახებ**

**ა) ორგანიზაცია და ოპერაციები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სს ჰუალინგ დაზღვევის შესახებ (მემდგომში „კომპანია“).

სს ჰუალინგ დაზღვევა 2017 წლის 11 დეკემბერს დაარსდა და საქართველოში ოპერირებს. მარეგისტრირებული ორგანოა საქართველოს შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 406232214. კომპანიის იურიდიული მისამართია ქუთევან წამებულის გამზირი 1, თბილისი, 0103, საქართველო. კომპანია საქციო საზოგადოებაა ლიმიტირებული აქციებით. ის საქართველოს რეგულაციების მიხედვით დაარსდა. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მმობელი კომპანია იყო საქართველოში დაარსებული სს „ბაზისბანკი“. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო აქციონერი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაარსებული შპს „სინდიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ თრეიიდ (ჯგუფი) კომპანია. (92.305%), ბ-ნი მი ზაიქი (6.969%) და სხვა მცირე წილის მფლობელები (0.726%).

კომპანიის მთავარი ბიზნეს- საქმიანობაა სადაზღვევო ბიზნესოპერაციები საქართველოს შიგნით. კომპანიას აქვს სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიები, რომლებიც 2017 წლის 27 დეკემბერს გასცა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა.

**ბ) ბიზნესგარემო საქართველოში**

კომპანია საქართველოში ოპერირებს. შესაბამისად, მას საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავ ვითარდება, მაგრამ განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილების საგანია, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ სირთულეებთან ერთად გამოწვევებს უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია მენეჯმენტის შეფასებები კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შესახებ. მომავალში ბიზნესგარემო შეიძლება განსხვავებული იყოს მენეჯმენტის შეფასებისგან.

**2 სააღრიცხვო ბაზა**

**განცხადება შესაბამისობის შესახებ**

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRSs") და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ისტორიული ღირებულების პრინციპით.

კომპანია IFRS 9 სტანდარტისგან „ფინანსური ინსტრუმენტები“ დროებით გათავისუფლდა, როგორც ეს გათვალისწინებულია IFRS 4 სტანდარტით „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (კომპანიის ვალდებულებების 90%-ზე მეტი სადაზღვევო ვალდებულებებისგან შედგება). მას მანამდე არ გამოუყენება IFRS 9 სტანდარტის რომელიმე ვერსია, მათ შორის FVTPL ფინანსურ ვალდებულებებში მოგების და ზარალის ასახვის მოთხოვნა 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანია გეგმავს, მთლიანი IFRS 9 სტანდარტის პირველად გამოყენება 2012 წლის 1 იანვრიდან დაიწყოს.

**3 ფუნქციური და საპრეზენტაციო ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ის ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას და იმ ვალუტას, რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი.

#### 4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

IFRS სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშების მომზადება მენეჯმენტისგან გარკვეული მოსაზრებების, შეფასებების და ვარაუდების გაკეთებას მოითხოვს, რაც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განცხადებულ ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და ვარაუდები მუდმივად განიცდის განახლებას. განახლებული სააღრიცხვო შეფასებების აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების განახლება და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

მენეჯმენტს რაიმე კრიტიკული მოსაზრება არ გამოუთქვას, გარდა იმ მოსაზრებებისა, რომლებიც ეხებოდა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში გაკეთებულ წინასწარ შეფასებებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებაში აღიარებულ თანხებზე.

#### დაშვებები და სენსიტიურობა

##### დაშვების განსაზღვრის პროცესი

სადაზღვევო აქტივების და ვალდებულებების წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დაშვებების მიზანია, საბოლოოდ იმ რეზერვებამდე მივიდეს, რომლებიც საკმარისია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების დასაფარად, რამდენადაც ამის პროგნოზირება გონივრულად შესაძლებელია.

რეზერვი იქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების თარიღისთვის, ყველა იმ ზარალის ანაზღაურების მოსალოდნელი საბოლოო ხარჯისთვის, რომელთა შესახებაც კომპანიას ეცნობა და რომლებიც ეხება აღნიშნულ თარიღამდე მომხდარ მოვლენებს, სულერთია განცხადდა თუ არა, და აკლდება უკვე გადახდილი თანხები.

კომპანია წინასწარ აფასებს იმ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ზარალებისგან, რომლებიც დადგა, მაგრამ საანგარიშებო თარიღისთვის ჯერ არ არის განცხადებული. დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი (IBNR) ზარალის საბოლოო ხარჯი გამოითვლება სიცოცხლის დაზღვევისთვის გამოყენებული აქტუარული მეთოდებით. მეთოდის მთავარი საფუძველია მოკვდავობის მაჩვნებლები საქართველოში, ზარალების განცხადების მაქსიმალური დაყოვნების პერიოდი და ზარალის იდენტიფიკაციის ყოველთვიური ალბათობა.

დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის საბალანსო ღირებულება გარდა გადაზღვევისა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 ათასი ლარი იყო (2018: 0 ათასი ლარი)

მენეჯმენტის რწმენით, შექმნილი რეზერვები ადეკვატურია და საჭირო არ იქნება დამატებითი რეზერვების მოთხოვნა.

#### 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად ისტორიული ღირებულების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკა. ის თანმიმდევრულად იქნა მისადაგებული ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, სხვაგვარად აღნიშნულის გარდა.

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანაარიშმის ანმარაზები - 2019 წლის 31 თებერვალი**

---

**ა) სავალუტო ტრანზაქციები**

სავალუტო ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო დღეს კონვერტირდება კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში იმ დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუცლებზე სავალუტო მოგება ან ზარალი არის განსხვავება პერიოდის დასაწყისში ფუნქციური ვალუტის ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კორექტირდება პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტით და გადახდებით, და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების პრინციპით ფასდება, კონვერტირდება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

კონვერტაციისას წარმოშობილი სავალუტო განსხვავებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- (a) სადაზღვევო ხელშეკრულებები  
(i) ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებებად კლასიფიცირდება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც კომპანია მეორე მხარისგან (პოლისის მფლობელი) იღებს მნიშვნელოვან დასაზღვევო რისკს იმით, რომ თანხმდება პოლისის მფლობელის ან სხვა ბენეფიციარის ანაზღაურებაზე თუ კონკრეტული გაურკვეველი მომავლის შემთხვევა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე ან სხვა ბენეფიციარზე.

დაზღვევის რისკი არის ფინანსური რისკის გარდა სხვა რისკი.

ფინანსური რისკი არის ერთი ან მეტი კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, ვალუტის გაცვლითი კურსის, საფასო ინდექსების ან განაკვეთების, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის ან სხვა ცვლადის მომავალში შესაძლო ცვლილება, არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში იმ პირობით, რომ ცვლადი ხელშეკრულების მხარისთვის დამახასიათებელი არ არის. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ასევე შესაძლებელია გარკვეული ფინანსური რისკის გადაცემა.

სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანია, თუ, და მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად კომპანიას უხდება მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. როცა ხელშეკრულება კლასიფიცირდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის ამგვარადვე რჩება, სანამ ყველა უფლება და ვალდებულება არ ამოიწურება, ან ვადა არ გაუვა. ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც სადაზღვევო რისკის პოლისის მფლობელიდან კომპანიაზე გადაცემა არაა მნიშვნელოვანი, კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებები აღირიცხება, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები.

### (2) ხელშეკრულებების აღიარება და შეფასება

#### პრემიები

მთლიანი მოზიდული პრემია არის პრემია წლის განმავლობაში დადებულ ხელშეკრულებაზე, მიუხედავად იმისა, უკავშირდება თუ არ ის მთლიანად ან ნაწილობრივ შემდგომ სააღრიცხვო პერიოდს. პრემიების გამუღავნება ხდება შუამავლისთვის გადასახდელი საკომისიოთი და გამორიცხავს პრემიებზე დაწესებულ გადასახადებს და მოსაკრებლებს. მოზიდული პრემიების გამომუშავებული ნაწილი აღიარდება, როგორც შემოსავალი. პრემიები გამომუშავდება მათზე რისკის მიბმის დღიდან, გარანტიის პერიოდის განმავლობაში პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიები აღიარდება, როგორც ხარჯი ყოველდღიური პროპორციული მეთოდის გამოყენებით. გადაზღვევის გამავალი პრემიების ნაწილი, რომელიც არ აღარდება ხარჯად, აღირიცხება, როგორც ავანსი.

#### პოლისის გაუქმების შემთხვევები

პოლისის გაუქმებას ადგილი აქვს, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ პოლისის მფლობელს არ აქვს სურვილი ან შესაძლებლობა, განაგრძოს პოლისზე პრემიის გადახდა. შესაბამისად, გაუქმებას უმეტესად განიცდის ისეთი პოლისები, რომლებზეც პრემიების გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ პოლისის პერიოდის განმავლობაში.

#### გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის მთლიანი მოზიდული პრემიის პროპორცია, რომელიც,

## **სს პუალინგ და ზღვება**

**თინანსური ანარიშმის ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

წინასწარი შეფასებით, უნდა გამომუშავდეს შემდეგ ან მომდევნო ფინანსური წლების განმავლობაში და რომელიც თითოეულ სადაზღვევო ხელშეკრულებაზე ითვლება ცალკე, პროპორციული მეთოდით.

### **(3) მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერები**

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ხარჯი, დანაკარგის რაიმე რეზერვით კორექტირებამდე. კომპანია პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როცა ბიზნესერთეულს არ აქვს გონივრული მილოდინი, რომ ფინანსური აქტივის ანაზღაურების თანხის ამოღება მთლიანად ან ნაწილობრივ. ამ უკანასკნელში შედის ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნებით დაწესებული ჯარიმები. პრემიები კოლექტიურად ფასდება ჩამოწერის თვალსაზრისით ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმით ან ცალკ-ცალკე ფასდება, პრემიის სეგმენტიდან და კლიენტის ტიპიდან გამომდინარე.

## 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ზარალები

წმინდა დამდგარი ზარალი შედგება ფინანსური წლის განმავლობაში ანაზღაურებული ზარალისგან, შეტყობინებული ზარალისთვის შექმნილი რეზერვის ცვლილებასთან ერთად. აუნაზღაურებელი ზარალი შედგება კომპანიის მიერ დამდგარი, მაგრამ გადაუხდელი ზარალის ანაზღაურების საბოლოო დანახარჯის პროგნოზის მიხედვით შექმნილი რეზერვებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, მიუხედავად იმისა, ეს ზარალი განცხადებულია თუ არა.

შეტყობინებული ზარალი ფასდება ცალკეული ზარალის შემოწმებით და რეზერვის შექმნით დამდგარი, მაგრამ ჯერ განცხადებელი ზარალისთვის, და შიდა და გარე პროგნოზირებადი შემთხვევების ეფექტისთვის, როგორიცაა მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები, წარსულის გამოცდილება და ტენდენციები. შეტყობინებული ზარალის რეზერვების დისკონტირება არ ხდება.

გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან მოსალოდნელი ანაზღაურება აღიარდება ცალკე, როგორც აქტივები. გადაზღვევიდან და სუბროგაციიდან ანაზღაურება ფასდება შეტყობინებული ზარალის შეფასების მსგავსი მეთოდით.

ზარალის თანხების წინა წლებში შექმნილი რეზერვების კორექტირება აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელ პერიოდშიც განიცადა კორექტირება და, თუ ისინი არსებითია, მჟღავნდება ცალკე. გამოყენებული მეთოდები და გაკეთებული პროგნოზები მოწმდება რეგულარულად.

### (ii) გადაზღვევა

კომპანია გადაზღვევას გადასცემს საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, რათა გადამზღვევლებზე რისკის ნაწილობრივი გადაცემით შეამციროს თავისი პოტენციური წმინდა ზარალი. გადაზღვევის ხელშეკრულებები კომპანიას არ ათავისუფლებს თავისი პოლისის მფლობელების წინაშე აღებული პირდაპირი ვალდებულებებისგან.

გადაცემული პრემიები და ანაზღაურებული სარგებელი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში მთლიანი სახით.

გადაზღვევის აქტივები მოიცავს გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს გადაცემული სადაზღვეო ვალდებულებებისთვის. გადაზღვევიდან ამოღებადი თანხების პროგნოზირება ხდება იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვს ან გადაზღვევის პოლისებთან დაკავშირებულ ანაზღაურებულ ზარალს.

გადაზღვევის აღებული პრემიები აღიარდება შემოსავლად და აღირიცხება ისე, თითქოს გადაზღვევა უმუალო საქმიანობა იყოს, გადაზღვევას დაქვემდებარებული საქმიანობის პროდუქტების კლასიფიკირების გათვალისწინებით.

გადაზღვევის ხელშეკრულებების თანახმად ამოღებადი თანხები ფასდება გაუფასურების თვალსაზრისით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. ასეთი აქტივები გაუფასურებულად ითვლება როცა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიამ შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს ვალდებულებები და რომ ამ მოვლენას სანდოდ შეფასებადი გავლენა აქვს კომპანიის მიერ გადამზღვევლისგან მისაღებ თანხებზე. გადაზღვევის აქტივებად აღირიცხება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც სადაზღვეო რისკის მნიშვნელოვან გადაცემას იწვევს. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები, რომლებიც არ გადასცემს მნიშვნელოვან სადაზღვეო რისკს, აღირიცხება ფინანსურ ინსტრუმენტების სახით.

**(iii) გადავადებული საკომისიო შემოსავალი**

კომპანია გადამზღვევლებისთვის პრემიების გადაცემისთვის იღებს საკომისიოს. ამ ტიპის საკომისიო აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სადაზღვეო საქმიანობის შედეგის კატეგორიაში. სადაზღვეო საქმიანობიდან საკომისიო შემოსავალი გადაცემული გადაზღვევის პრემიებიდან, რომლებიც წარმოადგენს ამოღებულ შესყიდვის ხარჯებს, ამცირებს არაამორტიზებულ შესყიდვის ხარჯებს იმგვარად, რომ წმინდა შესყიდვის ხარჯები კაპიტალიზდება და აღირიცხება ხარჯებში აღიარებული წმინდა სადაზღვეო შემოსავლის პროპორციულად. გადაცემული გადაზღვევიდან გადავადებულ საკომისიო შემოსავალში ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში.

**(iv) შესყიდვის ხარჯები**

შესყიდვის ხარჯები წარმოადგენს სადაზღვეო აგენტების და ბროკერებისათვის გადახდილ საკომისიოს და უშუალოდ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. შესყიდვის ხარჯებს ვადა დაუდგება, როცა შესაბამისი სადაზღვეო აგენტების და ბროკერების მიერ მოზიდული კლიენტები კომპანიას გადაუხდიან სადაზღვეო შენატანს.

**5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(v) ვალდებულების აღვევატურობის ტესტი**

თითეული საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ვალდებულების აღვევატურობის ტესტირება, რათა დარწმუნდნენ, რომ გამოუმუშავებელი პრემიერი საკმარისი ერთად მართული თითოეული ბიზნეს-მიმართულებისთვის. ამ ტესტირების ჩატარებისას გამოიყენება მოქმედი პოლისების ვადაგაუსვლელი პერიოდების სამომავალო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, მოთხოვნების მართვის და პოლისების ადმინისტრირების ხარჯების არსებული საუკეთესო წინასწარი შეფასებები. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, იქმნება დამატებითი რეზერვი (ვადაგაუსვლელი რისკის რეზერვი). დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. 2019 და 2018 წლების განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა.

**(vi) სადაზღვეო მისაღები შემოსავლები და გადასახდელი ხარჯები**

პოლისების მფლობელებისათვის, აგენტების და გადამზღვეველებისთვის გადასახდელი და მათგან მისაღები თანხები აღირიცხება კატეგორიაში „სადაზღვეო მისაღები შემოსავლები და გადასახდელი ხარჯები“, და არა სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვებში ან გადაზღვევის აქტივებში. კომპანია გაუფასურების შეფასების მიზნით რეგულარულად ამოწმებს დაზღვევიდან მისაღებ შემოსავლებს.

**(b) ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს სესხების და მისაღები შემოსავლების კატეგორიაში აკლასიფიცირებს. კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს აღრიცხავს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში.

**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

კომპანია სესხებსა და მისაღებ შემოსავლებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის დღეს. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია ვაჭრობის იმ თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როცა გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხდება ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა. ნებისმიერი ინტერესი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც შექმნა ან შეინარჩუნა კომპანიამ უნდა აღიარდეს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას აქვს თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და განზრახული აქვს წმინდად ანაზღაურება ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

**(ii) წარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელი ან სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ ივაჭრება, ფასდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კომპანიის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღებოდა შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში წმინდა გრძელი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვით გარკვეული რისკის პოზიციის შემთხვევაში ან გადაიხდებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) გადაცემით გარკვეული

## **სს პუალინგ დაზღვება**

**თინანსური ანარიშმბის ანმარზობი - 2019 წლის 31 თებერვალი**

რისკის პოზიციის შემთხვევაში.

### **სესხები და მისაღები შემოსავლები**

სესხები და მისაღები შემოსავლები არის ფინანსური აქტივების ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდების კატეგორია, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ასეთი ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება, დამატებული პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და მისაღები შემოსავლების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

### **ფული და ფულის ეკვივალუნტები**

ფული და ფულის ეკვივალუნტები შედგება ფულის ნაშთებისგან და მოთხოვნამდე ანაბრებისგან, შეძენის თარიღიდან სამი თვის ან ნაკლები ვადიანობით და სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს შეიცავს.

**5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(iii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება**

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს კატეგორიაში „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და აკლდება პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ეს ფინანსური აქტივები ითვლება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთდით.

**(iv) ოფსეტირება**

ფინანსური აქტივების და ვალდებულების ოფსეტირება და წმინდა თანხის განცხადება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ოფსეტირების კანონის ძალის მქონე უფლება და არის ან წმინდად ანაზღაურების, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების ანაზღაურების განზრახვა.

კომპანიას ამჟამად აქვს კანონის ძალის მქონე ოფსეტირების უფლება, თუ ეს უფლება არ არის პირობითად დამოკიდებული სამომავლო შემთხვევაზე და მისი აღსრულება შესაძლებელია როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ისე კომპანიისა და მისი ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

**(v) მოვება და ზარალი საბოლოო შეფასებიდან**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, მოვების ან ზარალის აღიარება მოვებაში ან ზარალში ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარება წყდება ან ფინანსური აქტივი ან ვალდებულება უფასურდება, და ამორტიზაციის პროცესით.

**(vi) საქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების გამოშვებისა და აქციის ოფციონთან უშუალოდ დაკავშირებული ნამატი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

**(c) გაუფასურება**

**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები**

ფინანსური ფინანსური აქტივი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებს აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ დამდგარ ზარალის შემთხვევაზე და იმაზე, რომ ეს შემთხვევა უარყოფითად მოქმედებს აქტივთან დაკავშირებით მოსალოდნელ იმ ფულად ნაკადებზე, რომელთა გონივრული პროგნოზირება შეიძლება.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- მევალის დეფოლტი ან ვადაგადაცილება;
- კომპანიისთვის გადასახდელი თანხის რესტრუქტურიზაცია ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ აღიარებდა;
- მევალის გაკოტრების რეჟიმში გადასვლის ნიშნები;
- დეფოლტებთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები.

**ამორტიზებული დირექტულებით შეფასებული ფინანსური აქტივები**

კომპანია განიხილავს ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას როგორც ცალკეული აქტივის, ისე კოლექტიურად. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივის გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება.

ის აქტივები, რომლებიც არ აღმოჩნდება გაუფასურებული, შემდეგ კოლექტიურად ფასდება გაუფასურებისთვის, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ გამოვლენილა. ცალკეული უმნიშვნელო აქტივების გაუფასურება კოლექტიურად ფასდება მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფებით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასებისას კომპანია ხელმძღვანელობს დეფოლტის აღბათობის, დავალიანების ამოღების ვადებისა და განცდილი ზარალის ოდენობის ისტორიულ ტენდენციებით, რომლებსაც შემდეგ აკორექტირებს მენეჯმენტის განსჯის შედეგად, არის თუ არა არსებული ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ ფაქტობრივი ზარალი შესაძლოა ისტორიული ტენდენციებით გამოვლენილზე უფრო მეტი ან ნაკლები იყოს.

## 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და ასახება მისაღები შემოსავლების კატეგორიაში, რეზერვის ანგარიშში. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე გრძელდება პროცენტის აღიარება დისკონტის განცალკევებით. როცა შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენას, გაუფასურების ზარალის შემცირება ამობრუნდება მოგებაში ან ზარალში.

### (ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები გარდა სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით ფასდება ანგარიშების ყოველი თარიღით. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების თვალსაზრისით შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. კომპანიის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად ნაკადებს და გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ნაწილდება გონივრულობის და თანმიმდევრულობის პრინციპზე დაყრდნობით და მათი გაუფასურების ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ტესტირებასთან ერთად, რომელზეც ეს კორპორაციული აქტივია განაწილებული.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახვს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, ზარალი შემცირდა თუ უკვე აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი ამობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის ამობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

### (d) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აერთიანებს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

#### (i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრ მოგებაზე გადასახდელი მოსალოდნელი

## **სს პუალინგ დაზღვება**

**თინანსური ანარიშმის ანმარზობი - 2019 წლის 31 თებერვალი**

გადასახადი, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ან უმეტესად ძალაშია საანგარიშგებო თარიღისთვის და წინა წლებთან დაკავშირებით გადასახდელი გადასახადის კორექტირება. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადით კომპანიების დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით განაწილებული მოგება არის მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება გაშლილი მკლავის პრინციპის დაუცველად და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორცილებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და განსაზღვრულ ოდენობაზე მეტით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით გამოწვეული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი დივიდენდების დეკლარირების პერიოდში, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

## 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### (ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი უზრუნველყოფს დროებით სხვაობებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს ფინანსური ანგარიშების მიზნებისთვის და დაბეგვრის მიზნით გამოყენებულ თანხებს შორის. იგი არ ფარავს შემდეგ დროებით განსხვავებებს: გუდვილი, რომელიც არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებით, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რომლებიც გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და ასოცირებულ კომპანიებში, სადაც მშობელ კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის ამობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ ამობრუნდება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების რეალიზაციას ან დაფარვას 2023 წლის პირველ იანვრამდე, საანგარიშებო თარიღისთვის ძალაში შესული, ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშების თარიღისთვის და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ მოყვანილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს 2023 წლის 1 იანვრიდან არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. აქედან გამომდინარე, ამ თარიღიდან არ წარმოქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

### (e) შეცდომების გასწორება

#### წინა წლის ფინანსური ანგარიშების ხელახლი განცხადება

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოავლინა წინა წლის შეცდომები, რომლებიც უკავშირდებოდა დამდგარი მაგრამ ჯერ განცხადებელი ზარალების რეზერვის აღიარებას და პრეზენტაციას (IBNR), გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლების და გადაზღვევის გადასახდელი ხარჯების ნაშთებს, სხვა ვალდებულებებს და საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს. ამ შეცდომების ხასიათი და მისი გავლენა შედარებად პირველად ანგარიშებზე ასეთია:

#### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის და შემოსავლის უწყისის ხელშეხალი განცხადება

- კომპანიამ აღიარა IBNR რეზერვი სადაზღვევო პროდუქტების ყველა ტიპისთვის. სიცოცხლის დაზღვევის გარდა, ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნებით დადგენილია, რომ თუ ზარალი არ განცხადდება მისი დადგომის დღეს, კომპანია არ მოახდენს ანაზღაურებას. იგივე მოთხოვნა ვრცელდება და მკაფიო ენითაა განცხადებული სადაზღვევო პოლისითაც. შესაბამისად, IBNR არ ვრცელდება სხვა სადაზღვევო პროდუქტებზე, გარდა სიცოცხლის დაზღვევისა. ამ რეზერვის აღიარებამ არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებზე გამოიწვია 2018 წლის მოგების ნაკლები ღირებულებით ჩვენება და დაზღვევის ხელშეკრულებების რეზერვების გადამეტებით ასახვა.
- გარკვეულ გადამზღვეველებთან ანგარიშწორება წმინდად ხდება, შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ კომპანიას არ მოუხდენია გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლების გადასახდელი ნაშთების ოფსეტირება; შესაბამისად, ორივე ბალანსი გადამეტებით იქნა ასახული.
- სხვა ფინანსური ვალდებულებები, სხვა ვალდებულებები და მიმდინარე მოგების გადასახადის

## **სს პუალინგ და ზღვება**

**თინანსური ანგარიშის ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

ვალდებულებები საბალანსო უწყისში გამჟღავნდა ერთად, სხვა ვალდებულებების კატეგორიაში. ეს ნაშთები უნდა წარმოდგენილიყო, როგორც ცალკეული ფინანსური ანგარიშის დარგობრივი მუხლები.

**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში:**

\*მომზადდა პირდაპირი მეთოდით.

- საბანკო ანაბრებზე დეპონირებული ფული (ვადიანი დეპოზიტები სამ თვეზე მეტი ვადიანობით) და მათზე დარიცხული პროცენტი (ჯერ არ მიღებული) შეცდომით დაკლასიფიცირდა, როგორც ფული და ფულის ეკვივალენტები. წლის ბოლოს ბალანსის მისაღებად დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი გამჟღავნდა საოპერაციო საქმიანობის კატეგორიაში, როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, საბანკო დეპოზიტებზე თანხების განთავსება (სამ თვეზე მეტი ვადიანობით) უნდა აისახოს, როგორც საინვესტიციო საქმიანობა. ამასთან, ანაბრებზე დარიცხული პროცენტი, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო საქმიანობა, არაფულადი ტრანზაქციაა დეპოზიტების ვადის დადგომამდე და პროცენტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დარიცხვამდე. ამიტომ, დარიცხული პროცენტი ამოღებული უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშიდან.

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანგარიშების ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

**5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

- საბანკო დეპოზიტებსა (სამ თვეზე მეტი ვადიანობით) და მიმდინარე ანგარიშებზე მიღებული პროცენტი არასწორად დაკლასიფიცირდა, როგორც ფულადინაკადები დაფინანსების საქმიანობიდან მაშინ, როცა ის უნდა ასახულიყო, როგორც ფულადი შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან და ფულადი შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, შესაბამისად. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, სამ თვეზე მეტი ვადიანობის მქონე საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტი უნდა აისახოს საინვესტიციო საქმიანობაში.

ამ ცვლილებების ეფექტი IFRS ფინანსური ანგარიშების პრეზენტაციაზე მოცემულია ქვემოთ:

ეფექტური მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშზე	<b>2018 თავდაპირველად ასახული</b>	<b>კორექტირება</b>	<b>2018 ხელახლა განცხადებული</b>
აუნაზღაურებელი ზარალის ცვლილება	218,011	(135,156)	82,855
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>	<b>1,453,225</b>	<b>135,156</b>	<b>1,588,381</b>

ეფექტური ფინანსური მდგ ანგარიშზე	<b>31 დეკ 2018 თავდაპირვე ლად ასახული</b>	<b>კორექტირება</b>	<b>31 დეკ 2018 ხელახლა განცხადებული</b>
გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	192,449	(192,449)	-
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>10,712,924</b>	<b>(192,449)</b>	<b>10,520,475</b>
დაზღ ხელშეკ რეზერვები	2,568,560	(135,156)	2,433,404
გადაზღვევის გადასახდელი ხარჯები	1,898,755	(192,449)	1,706,306
სხვა ვალდებულებები	328,969	(318,891)	10,078
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	49,174	49,174
მიმდ მოგების გადასახ ვალდებულება	-	269,716	269,716
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>4,953,359</b>	<b>(327,605)</b>	<b>4,625,754</b>
<b>მთლიანი კაპიტალი:</b>	<b>5,759,565</b>	<b>135,156</b>	<b>5,894,721</b>
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები:</b>	<b>10,712,924</b>	<b>(192,449)</b>	<b>10,520,475</b>

რადგან კომპანიამ საქმიანობა 2017 წლის დეკემბერში დაიწყო წინა პერიოდის შედარებითი მაჩვენებლები ნულს უდრის, ამიტომ ფინანსური მდგომარეობის მესამე ანგარიში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არაა წარმოდგენილი.

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანგარიშის ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

**5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

	31 დეკემბერი	პორექტირება	31 დეკემბერი
თავდაპირველად განცხადებული			ხელახლა განცხად
<hr/>			
ეჭიქტი ფულადი ნაკადების მომრ ანგარიშზე			
<hr/>			
ფულადი ნაკადები სოპერაციო საქმიანობიდან:			
მიმდ ანგარიშ მიღებული პროცენტი	-	17,948	17,948
სხვა საოპერაციო (გადახდილი ხარჯი)/მიღებული შემოსავალი	(31,353)	(90,046)	(121,399)
<hr/>			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტი	-	383,047	383,047
საბანკო დეპოზიტებზე განთაცხტებული ფული	-	(5,945,336)	(5,945,336)
<hr/>			
ფულადი ნაკადები დაფინანსების საქმიანობიდან:			
მიღებული პროცენტი	400,995	(400,995)	-
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	<b>6,403,348</b>	<b>(6,035,383)</b>	<b>367,965</b>
<hr/>			

**6 ახალ ან გადამუშავებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე გადასვლა**

IFRS 16 "იჯარა" (გამოქვეყნდა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს სტანდარტი კომპანიამ 2019 წლის 1 იანვრიდან მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტრული მეთოდით ისე, რომ შედარებითი მონაცემები ხელახლა არ განცხადებია და სტანდარტით ნებადართული გარკვეული გამარტივებები გამოიყენა. უძრავი ქონების იჯარის შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლება ფასდება გადასვლის დღეს ისე, თითქოს ახალი წესები მასზე ყოველთვის ვრცელდებოდა. ყველა დანარჩენი აქტივის გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტის მიღებისას საიჯარო ვალდებულების ოდენობით (კორექტირდება ყოველგვარი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული ხარჯით).

IFRS 16 -ის პირველად გამოყენებისას კომპანიამ სტანდარტით ნებადართული შემდეგი პრაქტიკული საშუალებები გამოიყენა:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარის პორტფელს ერთი სადისკონტო განაკვეთი მიუსადაგა;
- დაეყრდნო წინა შეფასებებს იმის შესახებ, ზარალიანია თუ არა იჯარა როგორც გაუფასურების შემოწმების ჩატარების ალტერნატივა - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზარალიანი კონტრაქტები არ ყოფილა.
- 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი ვადის მქონე ოპერაციული იჯარა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხა როგორც მოკლევადინი იჯარა.
- 5 ათასი აშშ დოლარის ლარის ეკვივალენტზე ნაკლები ღირებულების მქონე საოპერაციო იჯარა აღრიცხა, როგორც დაბალი ღირებულების მქონე იჯარა;
- გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიღება;
- არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების დღეს, და
- თავისი შეხედულებით განსაზღვრა საიჯარო ვადა იმ ხელშეკრულებებში სადაც არის იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფცია.

კომპანიამ ასევე ამჯობინა, აღარ გადაეფასებინა, არის ან შეიცავს თუ არა კონტრაქტი იჯარას თავდაპირველი გამოყენებისას. ნაცვლად ამისა გადასვლის თარიღამდე დადებული

## **სს პუალინგ და ზელვება**

### **თინანსური ანაარიშმის ანმარტინბი - 2019 წლის 31 თებერვალი**

ხელშეკრულებებისთვის კომპანია დაეყრდნო მის შეფასებებს, რომელიც IAS 17, „იჯარა“, და IFRIC 4 „იმის განსაზღვრა, შეთანხმება შეიცავს თუ არა იჯარას“ მიხედვით გააკეთა.

შედეგად არცერთი საიჯარო ვალდებულება და გამოყენების უფლების მქონე აქტივი არ აღიარებულა. ყველა საიჯარო ხელშეკრულება მიჩნეულ იქნა დავალი ღირებულების ან მოკლევადიან იჯარად, მთლიანობაში არაარსებითად.

7 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიას ჯერ არ დაუნერგავს

გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას ვადაზე ადრე არ დაუნერგავს.

„აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები IFRS 10-სა და IAS 28-ზი (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება IAS-ის მიერ დადგენილი თარიღით ან ამავე თარიღის შემდგომ). ამ ცვლილებების მიზანია მოაგვაროს შეუსაბამობა IFRS 10-ისა და IAS 28-ის მოთხოვნებს შორის, რომლებიც ეხება აქტივების გაყიდვას ან კაპიტალში შეტანას ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის. ამ ცვლილებების მთავარი ეფექტი ის არის, რომ ხდება სრული შემოსულობის ან ზარალის აღიარება, როცა გარიგება ეხება ბიზნესს. ნაწილობრივი შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ეხება აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, თუნდაც ამ აქტივებს ფლობდეს შეილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშებებზე.

ცვლილებები IFRS 4-ში - IFRS 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) გამოყენება IFRS 4-ზე („სადაზღვევო ხელშეკრულებები“) (გამოქვეყნდა 2016 წლის 12 სექტემბერს და, ძალაშია, მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის ისეთი ბიზნეს-ერთეულებისთვის, რომლებიც იყენებენ IFRS3 9-ისგან დროებითი გამონაკლისის (განთავისუფლების) ოფციას, ან IFRS 9-ის პირველად გამოყენებისას, ისეთი ბიზნეს-ერთეულებისთვის, რომლებიც იყენებენ გადაფარვის მიდგომას). ცვლილებების მიზანია, მოაგვაროს საკითხები, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის IFRS 9-ის დანერგვიდან იმ ახალი ჩამნაცვლებელი სტანდარტის დანერგვამდე, რომელზეც IAS საბჭო IFRS 4-ისთვის მუშაობს. ეს საკითხები, სხვებთან ერთად, ეხება გაცხადებული შედეგების დროებით ცვალებადობას. ცვლილებების შედეგად დაინერგება ორი მიდგომა: გადაფარვის მიდგომა და დროებით განთავისუფლების მიდგომა. შეცვლილი სტანდარტი ყველა იმ კომპანიას, რომელსაც გაფორმებული აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებები, აძლევს უფლებას, აღიაროს IFRS 9-ის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი შესაძლო ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგებაზარალში, სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ახალი სტანდარტის გამოშვებამდე. ამასთან, შეცვლილი სტანდარტი კომპანიებს, რომელთა საქმიანობა მირთადად დაზღვევას უკავშირდება, IFRS 4-ში შეტანილი ცვლილებები ავსებს სტანდარტში არსებულ ოფციებს, რომელთა გამოყენება უკვე შესაძლებელია დროებითი ცვალებადობის საკითხის მოსაგვარებლად. კომპანიამ გადაწყვიტა IFRS 9 სტანდარტზე გადასვლის გადავადება და შესარულა შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რადგან: ა) დაზღვევასთან დაკავშირებულმა მისმა ვალდებულებებმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადააჭარბა მთლიანი ვალდებულებების 90%-ს და ბ) მის საქმიანობაში ადგილი არ ჰქონია შემდგომ ძირეულ ცვლილებებს. კომპანია IFRS 9-ზე გადასვლას 2012 წლიდან მოელის.

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

7 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიას ჯერ არ დაუნერგავს (გაგრძელება)

წარმოგიდგენთ შემდეგ გამჟღავნებას ჩვენი ფინანსური აქტივების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მისი მიზანია იმ ბიზნეს-სუბიექტებთან შედარება, რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან იყენებენ IFRS 9 სტანდარტს.

		აქტივები რომლებიც მხოლოდ ძირ თანხის და პროცედაციას წარმოადგენს (SPPI)		აქტივების საბ ღირ (IAS 39) რომლებიც მხოლოდ ძირ თანხის და პროცედაციას წარმოადგენს და ანალიზდება საკრედიტო რეიტინგით (ბრუტო საბ ღირ ამორტ ღრ აღრიცხული აქტივების შემთხვევაში)		BB – B- აქტ სამართ ღირ ან რეიტინგის გარეშე (გარდა დაბალი საკრედ რისკის მქონე აქტივი)
2019	სამართლიანი დირექტორის ბუღალტერი	წლის მოგება.ზარალი	BB-B-	რეიტინგის გის გარეშე ვ	სულ BB – B- და რეიტინგის გის გარეშე	

<b>ფინ აქტ ვადის დადგომამდე ფლობით:</b> სავალო ვალდებულება	300,095	-	300,095	-	300,095	300,095
<b>ფინ აქტ ვადის დადგომამდე ფლობით სულ :</b>	<b>300,095</b>	<b>-</b>	<b>300,095</b>	<b>-</b>	<b>300,095</b>	<b>300,095</b>
<b>სესხები და მისაღ შემოს:</b> საბანკო დეპოზიტები ფული და ფულის ეკვივალ	7,240,324 514,554	- -	3,226,742 514,262	4,013,582 291	7,240,324 514,553	<b>7,240,324 514,553</b>
<b>სულ ფინ აქტ ამორტიზ დირებულებით აღრიცხ</b>	<b>7,754,878</b>	<b>-</b>	<b>3,741,004</b>	<b>4,013,873</b>	<b>7,754,877</b>	<b>7,754,877</b>

წარმოგიდგენთ შემდეგ გამჟღავნებას ჩვენი ფინანსური აქტივების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მისი მიზანია იმ ბიზნეს-სუბიექტებთან შედარება, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრიდან იყენებენ IFRS 9 სტანდარტს.

		აქტივები რომლებიც მხოლოდ ძირ თანხის და პროცედაციას წარმოადგენს (SPPI)		აქტივების საბ ღირ (IAS 39) რომლებიც მხოლოდ ძირ თანხის და პროცედაციას წარმოადგენს და ანალიზდება საკრედიტო რეიტინგით (ბრუტო საბ ღირ ამორტ ღრ აღრიცხული აქტივების შემთხვევაში)		BB – B- აქტ სამართ ღირ ან რეიტინგის გარეშე (გარდა დაბალი საკრედ რისკის მქონე აქტივი)
2018	სამართლიანი დირექტორის მოგება-ზარალი სამართლი	წლის მოგება-ზარალი	BB-B-	რეიტინგის გის გარეშე ვ	სულ BB – B- და რეიტინგის გის გარეშე	
<b>სესხები და მისაღ შემოსაფ:</b> საბანკო დეპოზიტები ფული და ფულის ეკვივალ	6,035,690 367,965	- -	4,115,066 357,810	1,920,623 10,155	6,035,689 367,965	6,035,689 367,965

**სს პუალინგ დაზღვება  
მინანსური ანარიშმის ანმარტინბით - 2019 წლის 31 დეკემბერი**

---

<b>ფინანსურის ამორტიზაცია</b>	<b>6,403,655</b>	-	<b>4,472,876</b>	<b>1,930,778</b>	<b>6,403,654</b>	<b>6,403,654</b>
-------------------------------	------------------	---	------------------	------------------	------------------	------------------

---

7 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიას ჯერ არ დაუნერგავს (გაგრძელება)

**IFRS 17 „სადაზღვეო ხელშეკრულებები“** (გამოქვეყნდა 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). IFRS 17 წარმოადგენს IFRS 4-ის ჩანაცვლებას, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვეო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვეო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და ერთმანეთისგან განსხვავება. IFRS 17 აგებულია ყველა ტიპის სადაზღვეო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის ხელთ არსებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპზე. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვეო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული მიმდინარე ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის პლუს (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან ან მინუს ნიშნით (თუ მიღებული რიცხვი აქტივი); (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე გამოუმუშავებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარეა). მზღვეველები სადაზღვეო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვეო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან გახდება ზარალიანი, ბიზნეს-სუბიექტი დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. კომპანია სტანდარტის გამოყენებას აპირებს მის მიერ გაცემულ ვალდებულების შესრულების გარანტიებზე და ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში** (გამოქვეყნდა 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, ინსტრუქციებს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაზე, ტერმინთა გაუმჯობესებულ განმარტებებსა და მითითებებს - განსაკუთრებით, ვალდებულებების განსაზღვრებას, ხსნის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ლიდერობა, პრუდენციული საკითხები და შეფასების განუსაზღვრელობა ფინანსურ ანგარიშგებაში.

**ბიზნესის განმარტება - ცვლილებები IFRS 3-ში** (გამოიცა 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შესყიდვებისათვის წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის ან მის შემდეგ). ამ ცვლილებებით ახლებურად განისაზღვრა ბიზნესის რაობა. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და ძირითადი პროცესი, რომლებიც ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას. ახალი სახელმძღვანელო იძლევა ჩარჩოს, რაც დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, აქვს თუ არა ადგილი რესურსებს და ძირთად პროცესებს, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფ კომპანიებში, რომლებსაც პროდუქტია ჯერ არ გამოუშვიათ. თუ პროდუქტია არა, მაშინ საჭიროა, რომ ორგანიზებული სამუშაო მაღალ იყოს წარმოდგენილი, რათა ბიზნესმა კლასიფიკაციის პირობა დააკმაყოფილოს. ტერმინი „გამოშვებული პროდუქტია“ ვიწრო გაგებითაა წარმოდგენილი და გულისხმობს მომხმარებელზე მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებას, საინვესტიციო შემოსავლისა და სხვა შემოსავლის გამომუშავებას, და არ გულისხმობს ანაზღაურებას შედარებით დაბალი ხარჯების და სხვა კონომიკური სარგებელის სახით. აგრეთვე აღარ არის საჭირო იმის შეფასება, რამდენად შეუძლიათ ბაზრის მონაწილეებს შეცვალონ დაკარგული ელემენტები ან მოახდინონ შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. ბიზნეს-ერთეულს შეუძლია მიმართოს ‘კონცენტრაციის ტესტს’.

შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად მიღებული ბრუტო აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ცვლილებები პერსპექტიულია. 2020 წლის 1 იანვრიდან კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას.

**არსებითობის განმარტება - ცვლილებები IAS 1 და IAS 8-ში .** (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები განმარტავს მატერიალურის რაობას და თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული და გახდეს დეფინიციების ინსტრუქციების ნაწილი, რომელიც აქამდე IFRS-ში შედიოდა. ამასთან, დეფინიციის თანმხლები განმარტებები გაუმჯობესდა. და ბოლოს, ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ მატერიალურის დეფინიცია ერთნაირია მთელი IFRS სტანდარტების მასშტაბით. ინფორმაცია

## **სს ჰუალინგ და ზღვება**

**თინანსური ანგარიშის ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

მატერიალურია (არსებითა) იმ შემთხვევაში, არის იმის გონივრული მოლოდინი, რომ მისმა გამოტოვებამ, არასწორმა განცხადებაშ ან გაბუნდოვანებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშების პირველადი მომხმარებლები იღებენ ამ ფინანსური ანგარიშებისავე საფუძველზე, იმ ანგარიშების, რომლებიც ანგარიშის წარმდგენი კონკრეტული კომპანიის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას შეიცავს. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

**საორიენტრითი (ზენმარკის) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება - ცვლილებები IFRS 9-ში, IAS 39-ში და IFRS 7-ში (გამოქვეყნდა 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ცვლილებები გამოიწვია ისეთი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების, როგორიცაა ლონდონის ბანკთაშორისი ინდექსი (LIBOR) და სხვა ბანკთაშორისი ინდექსების (IBOR) ჩანაცვლებამ. ცვლილებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების ურთიერთობებზე ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შესრულებისგან, რომლებზეც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ცვლილებამ პირდაპირი გავლენა იქონია. IFRS 9-ისა და IAS 39-ის მიხედვით, ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის სავალდებულოა, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები „დიდი ალბათობით მოსალოდნელი“ იყოს. როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსზე, ცვლილებებით გათვალისწინებული შეღავათი ბიზნეს-სუბიექტისგან მოითხოვს ჩათვალოს, რომ ჰეჯირებულ ფულად ნაკადებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი არ შეიცვალოს ინდექსის ცვლილების შედეგად. ჰეჯირებით აღრიცხვისთვის როგორც IAS 39, ისე IFRS 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას. მართალია, IBOR და IBOR ჩანაცვლების განაკვეთებით მოთხოვნილი ფულადი ნაკადები ამჟამად თითქმის ეკვივალენტური უნდა იყოს, რასაც მინიმუმადე დაჰყავს არაეფექტურობა, ეს მდგომარეობა ინდექსის შეცვლის თარიღის მოახლოებასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს. ცვლილებების მიხედვით, ბიზნეს-სუბიექტს შეუძლია დაუშვას, რომ საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეყრდნობა ჰეჯირების ობიექტის ფულადი ნაკადები, ჰეჯირების ინსტრუმენტი თუ ჰეჯირებული რისკი, არ იცვლება ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილებით. ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილებამ შესაძლოა ჰეჯირების შედეგები 80–125% დიაპაზონის გარეთ მოაქციოს, რასაც მოითხოვს რეტროსპექტული ტესტირება IAS 39-ის მიხედვით.

შესაბამისად, IAS 39-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც დაშვებულია გამონაკლისი ეფექტურობის რეტროსპექტული ტესტირებიდან, რათა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პერიოდის განმავლობაში ჰეჯირება არ შეწყდეს, იმიტომ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ რეტროსპექტული ეფექტურობა არ ექცევა ამ დიაპაზონში. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა პირობები, მათ შორის პერსპექტიული შეფასების მოთხოვნა, მაინც უნდა დაკმაყოფილდეს. ზოგიერთი ჰეჯირების შემთხვევაში, ჰეჯირების ობიექტი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების რისკის კომპონენტს, რომელიც ხელშეკრულებით არ არის დაზუსტებული. ჰეჯირებით აღრიცხვის გამოყენებისთვის როგორც IFRS 9, ისე IAS 39 მოითხოვს, რომ რისკის დაზუსტებული კომპონენტი ცალკე გამოვლენის და საიმედოდ შეფასების საშუალებას უნდა იძლეოდეს. ამ ცვლილებების მიხედვით, რისკის კომპონენტი ცალკე უნდა გამოვლინდეს ჰეჯირების თავდაპირველი კლასიფიკაციას და არა მუდმივად.

მაკროჰეჯირების კონტექსტში, როდესაც ბიზნეს-სუბიექტი ხშირად გადააწყობს ჰეჯირების ურთიერთობას, შეღავათი ვრცელდება იმ მომენტიდან, როდესაც ჰეჯირების ობიექტის თავდაპირველი კლასიფიკაცია მოხდა ჰეჯირების ამ ურთიერთობაში. ჰეჯირების ყოველგვარი არაეფექტურობის აღრიცხვა უნდა გაგრძელდეს მოგებაში ან ზარალში როგორც IAS 39-ის, ისე IFRS 9-ის მიხედვით. ეს ცვლილებები განსაზღვრავს შეღავათის შეწყვეტის გამომწვევე მოვლენებს. მათ შორისაა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული განუსაზღვრელობის აღმოფხვრა. ეს ცვლილებები ბიზნესებს ავალდებულებს, ინვესტორებს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია მათი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, რომლებზეც პირდაპირ მოქმედებს ეს განუსაზღვრელობები, მათ შორის ჰეჯირების იმ ინსტრუმენტების ნომინალური ღირებულება, რომლებსაც ეხება შეღავათები, ყოველგვარი მნიშვნელოვანი დაშვება თუ განსჯა, რომელიც შეღავათით სარგებლობისას იქნა გამოყენებული და თვისობრივი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ბიზნესზე ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის ცვლილება და როგორ მართავს სტანდარტზე გადასვლის პროცესს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე. თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტზები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე.

7 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც კომპანიას ჯერ არ დაუნერგავს (გაგრძელება)

ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიკაცია - IAS 1-ში შეტანილი ცვლილებები (გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და მალაში შედის 2022 წლის 1 იანვრის ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს მცირე მასშტაბის ცვლილებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლე და გრძელვადიანი და ეს დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს. ვალდებულებები გრძელვადიანია იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს საანგარიშო პერიოდის ბოლოს გააჩნია არსებითი უფლება, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. მითითება ადარ მოითხოვს რომ ასეთი უფლება უპირობო იყოს. მენეჯმენტის მოლოდინი, გამოიყენებენ თუ არა ისინი გადავადების უფლების შემდგომში, არ იმოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ პირი საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ პირობა დაირღვა საანგარიშო პერიოდში ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარის უფლება კრედიტორისგან მიღებულია საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. სესხი კი მხოლოდ მაშინ კლასიფიცირდება მოკლევადიანად, თუ სასესხო ხელშეკრულების კოვენანტი ირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, ცვლილებებში შედის ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტება, რომელზე ანგარიშსწორებაც კომპანიამ შეიძლება მოახდინოს კაპიტალად კონვერტაციის გზით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებელის მქონე სხვა რესურსებით ან ორგანიზაციის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკვლისი გარდაქმნადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც შეიძლება კაპიტალად კონვერტაცია გაუკეთდეს, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირდება კაპიტალის ინსტრუმენტად, რომელიც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტია. ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე.

8 სააღრიცხვო პოლიტიკა იჯარისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული შესადარებელი პერიოდისთვის მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეიცვალა IFRS 16-ით „იჯარა“, შემდეგია.

**საოპერაციო იჯარა.** თუ კომპანია გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადახდა აისახება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა არის გაუქმებას დაუქვემდებარებელი დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს იჯარით აქვს აღებული აქტივი, დამატებითი ვადების გათვალისწინებით, რომელთა განმავლობაშიც მოიჯარეს შეუძლია განაკრძის აქტივის იჯარა, დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციას.

**სს პუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანგარიშების ანმარტინგზი 2019 წლის 31 დეკემბერი**

**8 Accounting Policies for leases before 1 January 2019 (Continued)**

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. როცა კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომლის პირობებითაც საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი გადაეცემა კომპანიას, საიჯარო აქტივების კაპიტალიზაცია ხდება ძირითად საშუალებებში იჯარის ვადის დაწყებისას საიჯარო აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. თითოეული საიჯარო გადახდა ნაწილდება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯზე, რათა მიღწეული იქნეს მუდმივი განაკვეთი დაუფარავ ფინანსურ ნაშთზე. იჯარით სარგებლობის შესაბამისი ვალდებულებები, სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოკლებით, აისახება ნასესხებ სახსრებში. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ზარალს იჯარის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე იჯარის ვადის განმავლობაში, თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებული არ არის, რომ იჯარის ვადის დასრულების შემდეგ ეს აქტივები მის საკუთრებაში გადმოვა.

**9 ფული და ფულის ეკვივალენტები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
მიმდინარე ანგარიშები	514,554	367,965
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები სულ</b>	<b>514,554</b>	<b>367,965</b>
ფულის და ფულის ეკვივალენტების საკრედიტო რეიტინგები იყო:		
	<b>2019</b>	<b>2018</b>
BB	62,511	191,129
BB-	320,273	-
B+	131,478	166,681
რეიტინგის გარეშე	292	10,155
<b>სულ</b>	<b>514,554</b>	<b>367,965</b>

**10 საბანკო დეპოზიტები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
სს კრედო ბანკი	3,000,000	-
სს ფაშა ბანკი	2,970,000	-
სს ფინკა ბანკი	660,000	1,680,000
სს ტერაბანკი	170,000	165,336
სს ხალიც ბანკი	100,000	100,000
სს ბაზის ბანკი	50,000	4,000,000
<b>მთლიანი საბანკო დეპოზიტები</b>	<b>6,950,000</b>	<b>5,945,336</b>

ბანკში დეპონირებული 6950 ათასი ლარიდან, 4200 ათასი ლარი უკავშირდება საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვას.

ბანკის დეპოზიტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. ბანკის დეპოზიტები წარმოდგენილია ქართულ კომერციულ ბანკებში გაეთებული განთავსებებით, ორ წელზე ნაკლები ვადიანობით და ერიცხება წლიური 10%-დან 12.5%-მდე. დაკავშირებულ მხარესთან (სს ბაზისბანკი) განთავსებულ დეპოზიტს ერიცხება წლიური 10%-დან 11%-მდე პროცენტი (განმარტება 30).

**სს პუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანგარიშების განმარტივები 2019 წლის 31 დეკემბერი**

---

**სს პუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანარიტების განმარტივები 2019 წლის 31 დეკემბერი**

**10 საბანკო დეპოზიტები (გაგრძელება)**

<b>დარიცხული პროცენტი</b>	<b>2019</b>	<b>2018</b>
სს კრედო ბანკი	132,556	-
სს ფაშ ბანკი	97,265	-
სს ფინვა ბანკი	39,260	64,110
სს ტერაბანკი	11,766	11,177
სს ხლივ ბანკი	4,776	5,068
სს ბაზისბანკი	4,701	9,999

**მთლიანი დარიცხული პროცენტი** **290,324** **90,354**

ბანკებში განთავსებების საკრედიტო რეიტინგები იყო:

	<b>2019</b>	<b>2018</b>
BB	104,776	105,068
BB-	3,067,265	-
B+	54,701	4,009,998
რეიტინგის გარეშე	4,013,582	1,920,624
<b>სულ</b>	<b>7,240,324</b>	<b>6,035,690</b>

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 6900 ათასი ლარს საბანკო დეპოზიტების მთლიანი ბალანსიდან ვადა დაუდგება 2021 წელს. 2019 წლის 31 დეკემბერს მშობელ კომპანიაში განთავსებული დეპოზიტებიდან 38 500 ლარი დაიფლევა საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად. (განმარტება 30)

**11 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ვადის დადგომამდე ფლობით**

<b>საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს</b>	-
შესყიდვები	300,000
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	95
<b>საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>300,095</b>

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ვადის დადგომამდე ფლობით შეადგენს სს სვის კაპიტალიდან შესყიდულ სავალო ვალდებულებებს (ლარით), B- რეიტინგით, სავალო ვალდებულების ვადა 2020 წლის 13 სექტემბერია.

**12 დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
<b>მთლიანი მისაღები შემოსავლები დაზღვევიდან:</b>		
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	17,649	246
გენერალური დაზღვევის ხელშეკრულებები	3,778,652	2,096,820
გამოკლებული - პოლისების მფლობელებისგან მისაღები		
თანხების გაუფასურების რეზერვი		
გენერალური დაზღვევის ხელშეკრულებები	(70,587)	-
<b>დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები, წმინდა:</b>	<b>3,725,714</b>	<b>2,097,066</b>

**სს პუალინგ დაზღვევა**

თინანსური ანარიშების ჯანმარტი 2019 წლის 31 თებერვალი

13 სადაზღვევო ხელშეკრულებების რეზერვები და სადაზღვევო ხელშეკრულებების რეზერვების  
გადაცემული წილი

	2019	2018 (ხელახლა განცხ)
<b>სადაზღვევო ხელშეკრულების რეზერვები</b>		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები	4,183,191	2,350,550
განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები	237,856	82,846
დამდგარი მაგრამ განუცხადებელი ზარალები	4,203	8
<b>სადაზღვევო ხელშეკრულების რეზერვები სულ</b>	<b>4,425,250</b>	<b>2,433,404</b>
<b>სადაზღვევო ხელშეკრულების რეზერვების გადაცემული წილი</b>		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები	(3,351,901)	(1,904,142)
განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები	(163,438)	(9,840)
<b>სადაზღვევო ხელშეკრულების რეზერვების გადაცემული წილი</b>	<b>(3,515,339)</b>	<b>(1,913,982)</b>
<b>სადაზღვევო ხელშეკრულებ რეზერვები გადაზღვევის გარეშე</b>		
გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები	831,290	446,408
განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები	74,417	73,006
დამდგარი მაგრამ განუცხადებელი ზარალები	4,203	8
<b>სადაზღვევო ხელშეკრულების რეზერვები გადაზღვევის გარეშე</b>	<b>909,910</b>	<b>519,422</b>

სს პულინგ დაზღვება

თინანსური ანარიტმის ანგარიზმითი – 2019 წლის 31 დეკემბერი

13 სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები და სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

UPR რეზერვი	2019			2018		
	გამოუმუშავებული პრემიის რეზერვი	გადაზღვევის წილი	წმინდა	Unearned premium reserve	Reinsurers share in unearned premium reserve	Net
სიცოცხლის დაზღვევა	-	-	-	-	-	-
ავტოდაზღვევა	1,249,877	(779,711)	470,166	456,293	(256,424)	199,869
ქონების დაზღვევა	399,021	(255,590)	143,431	208,730	(126,170)	82,560
ავიაციის დაზღვევა	2,179,083	(2,178,484)	599	1,458,735	(1,458,735)	-
მესამე მხარის პასუხისმ (სავალდ)	149,655	-	149,655	120,387	-	120,387
სხვა	205,555	(138,116)	67,439	106,405	(62,813)	43,592
<b>სულ</b>	<b>4,183,191</b>	<b>(3,351,901)</b>	<b>831,290</b>	<b>2,350,550</b>	<b>(1,904,142)</b>	<b>446,408</b>

დამდგარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი მხოლოდ სიცოცხლის დაზღვევის პოლისებს უკავშირდება. შესაბამისი რეზერვი არ იქმნება სხვა სადაზღვეო პოლისებზე, როცა არ არის დროითი შუალედი შემთხვევის თარიღსა და ზარალის შესახებ განცხადების დღეს შორის.

RBNS რეზერვი	2019			2018		
	განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები	გადამზღვევის წილი	წმინდა	განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები	გადამზღვევის წილი	წმინდა
სიცოცხლის დაზღვევა	5,655	(5,090)	565	-	-	-
ავტოდაზღვევა	88,377	(61,020)	27,357	30,800	(9,840)	20,960
ქონების დაზღვევა	95,409	(95,409)	-	-	-	-
ავიაციის დაზღვევა	-	-	-	-	-	-
მესამე მხარის ვალდებულება (სავალდ)	43,015	-	43,015	52,046	-	52,046
სხვა	5,400	(1,920)	3,480	-	-	-
<b>სულ</b>	<b>237,856</b>	<b>(163,439)</b>	<b>74,417</b>	<b>82,846</b>	<b>(9,840)</b>	<b>73,006</b>

სს პულინგ და ზღვება

თინანსური ანარიშმბის ანგარიზობი – 2019 წლის 31 დეკემბერი

13 სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები და სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)

	2019 სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები	წმინდა	2018 (ხელახლა განცხ) სადაზღვეო ხელშეკრულებების წილი	წმინდა
	სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები	სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები	სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები	სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები
a სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები	9,850	(5,655)	4,195	8
b გენერალური დაზღვევის ხელშეკრულებები	4,415,400	(3,509,684)	905,716	2,433,397
სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები სულ	<b>4,425,250</b>	<b>(3,515,339)</b>	<b>909,911</b>	<b>2,433,405</b>

	2019 სადაზღვეო ხელშეკრულებები	წმინდა	2018 (ხელახლა განცხ) სადაზღვეო ხელშეკრულებების წილი	წმინდა
	სადაზღვეო ხელშეკრულებები	სადაზღვეო ხელშეკრულებების წილი	სადაზღვეო ხელშეკრულებები	სადაზღვეო ხელშეკრულებების წილი
a 1 იანვარს	<b>8</b>	-	<b>8</b>	-
წლის განმავლობაში მოზიდ პრემიები	168,714	(84,644)	<b>84,070</b>	245
წლის განმავ გამომუშ პრემიები	(168,714)	84,070	<b>(84,644)</b>	(245)
წლის განმავ დამდგარი ზარალები	13,569	(12,211)	<b>1,358</b>	-
წლის განმავ ანაზღ ზარალები	(7,922)	7,130	<b>(792)</b>	-
დამდგარი მაგრამ განუცხ ზარალები	4,195	-	<b>4,195</b>	8
31 დეკემბერს	<b>9,850</b>	<b>(5,655)</b>	<b>4,195</b>	<b>8</b>

სს პულინგ და ზღვება

თინანსური ანარიტიბის ანმარტინტი – 2019 წლის 31 დეკემბერი

**13 სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვები და სადაზღვეო ხელშეკრულებების რეზერვების გადაცემული წილი (გაგრძელება)**

	2019			2018		
	სადაზღ ხელშეკ რეზერვები	გადამზღვევების წილი სადაზღ ხელშეკრ რეზერვებში	წმინდა	სადაზღ ხელშეკ რეზერვები	გადამზღვევების წილი სადაზღ ხელშეკრ რეზერვებში	წმინდა
<b>b 1 იანვარს</b>	<b>2,433,405</b>	<b>(1,913,981)</b>	<b>519,424</b>	-	-	-
წლის განმავლ მოზიდ პრემიები	9,513,248	(6,056,551)	3,456,697	5,441,795	(2,738,421)	2,703,374
წლის განმავ გამომუშა პრემიები	(7,680,608)	4,609,365	(3,071,243)	(3,091,245)	834,280	(2,256,965)
წლის განმავლ დამდგარი ზარალები	1,669,296	(1,177,898)	491,398	183,917	(31,820)	152,097
წლის განმავლ ანაზღ ზარალები	(1,519,941)	1,029,381	(490,560)	(101,063)	21,981	(79,082)
<b>31 დეკემბერს</b>	<b>4,415,400</b>	<b>(3,509,684)</b>	<b>905,716</b>	<b>2,433,405</b>	<b>(1,913,981)</b>	<b>519,424</b>

**სს პუნქტი და ზღვება  
თინანსური ანარიშმების ანმარტინგი - 2019 წლის 31 თებერვალი**

**14 სხვა აქტივები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
საქონელსა და მომსახურებაზე გაც ავანსები	80,042	25,498
სავალდ დაზღ ცენტრზე გაც ავანსები	23,529	23,529
გადარჩენილი ქონება	3,536	-
 სხვა აქტივები სულ	<b>107,107</b>	<b>49,027</b>

**15 სხვა ვალდებულებები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
დარიცხვები თანამშრ კომპენსაციაზე	121,987	9,952
მიღებული ავანსები	7,645	-
გადასახდელი გადასახადები	261	126
 სხვა ვალდებულებები სულ	<b>129,893</b>	<b>10,078</b>

გადაზღვევის კომისიის რეზერვი უკავშირდება გადამზღვევისგან მისაღები საკომისიოს გამოუმუშავებელ ნაწილს.

**16 სხვა ფინანსური ვალდებულებები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
დაზღ სას სამსახურისთვის გადასახდელი	78,492	30,912
პროფესიული მომსახურებისთვის გადასახდელი	42,197	11,800
სხვა კრედიტორები	27,161	6,462
 სხვა ფინანსური ვალდებულებები სულ	<b>147,850</b>	<b>49,174</b>

**17 კაპიტალი**

**(a) სააქციო კაპიტალი**

<u>აქციების რაოდ სხვაგვარად განცხ გარდა</u>	<b>31-Dec-19</b>	<b>31-Dec-18</b>
ნომინალური ღირებულება	GEL1	GEL1
 გამოშვებული სრულად გადახდილი	<b>4,300,000</b>	<b>4,300,000</b>

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა გამოსაცემად ნებადართული სააქციო კაპიტალი 4300 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერს: 4300 ათასი ლარი).

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ დეკლარირებისას დროდადრო მიიღონ დივიდენდები. კომპანიის კრებებზე მათ აქვთ ერთი ხმის უფლება თითო აქციაზე.

**(b) დივიდენდები**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები არის კომპანიის IFRS-ით მომზადებული კანონით მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშებით განსაზღვრული

**სს პუალინგ და ზღვება  
მინანსური ანარიშმის ანმარტინბი - 2019 წლის 31 თებერვალი**

---

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი.

2019 და 2018 წლებში დივიდენდების დეკლარირება ან გადახდა არ მომზადა.

**სს პუალინგ და ზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარზობი - 2019 წლის 31 თებერვალი**

**18 წმინდა გამომუშავებული პრემიები**

	<b>2019</b>	<b>2018</b>
სიცოცხლის დაზღ ხელშეკ მოზიდ პრემია გენერალური დაზღვევის ხელშეკ მოზიდ პრემია	168,714 9,513,248	245 5,441,550
<b>მოზიდული პრემიები სულ</b>	<b>9,681,962</b>	<b>5,441,795</b>
საერთო გამოუმუშავებელი პრემიების ბრუტო რეზერვის ცვლილება	(1,832,640)	(2,350,550)
<b>გამომუშავებული პრემიები სულ</b>	<b>7,849,322</b>	<b>3,091,245</b>
გადამზღვეველების გამომუშავებული პრემია სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკ ულებებზე	(84,070)	(78)
გადამზღვეველების გამომუშავებული პრემია ზოგადი დაზღვევის ხელშეკ ულებებზე	(4,609,366)	(834,279)
<b>წმინდა გამომუშავებული პრემია სულ</b>	<b>3,155,886</b>	<b>2,256,888</b>
თითო პროდუქტზე მოზიდული პრემია:		
ავიაციის დაზღვევა	4,061,239	2,121,437
მესამე პირის პასუხის. დაზღ (სავალ დაზ ცენტრი)	2,261,523	1,656,169
ავტოდაზღვევა	2,132,779	1,162,113
ქონების დაზღვევა	641,115	299,807
სიცოცხლის დაზღვევა	168,714	245
სხვა	416,593	202,023
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები სულ</b>	<b>9,681,963</b>	<b>5,441,794</b>

**19 წმინდა დამდგარი ზარალები**

	<b>2019</b>	<b>2018 (restated)</b>
ანაზღაურებული სიცოცხლის დაზღ ზარალები	(7,922)	-
ანაზღაურებული გენერალური დაზღვევის ზარალები	(1,519,941)	(101,063)
გადამზღვეველების წილი ანაზღ სიცოცხლ დაზღვევაში	7,130	-
გადამზღვეველების წილი ანაზღ გენერალურ დაზღვევაში	1,029,381	21,981
<b>ანაზღაურებული წმინდა ზარალები სულ</b>	<b>(491,352)</b>	<b>(79,082)</b>
განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალების ბრუტო ცვლილება	(155,010)	(82,847)
დამდგარი მაგრამ განცხადებელი ზარალები	(4,195)	(8)
გადამზღვეველის წილი განცხადებულ მაგრამ აუნაზღაურებელ ზარალებში	153,599	9,840
ზარალები		
სუბროგაცია და ანაზღაურების თანხის ამოღებები	178,119	6,177
<b>წმინდა დამდგარი ზარალები</b>	<b>(318,839)</b>	<b>(145,920)</b>

სს პუალინგ და ზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარაზობი - 2019 წლის 31 თებერვალი

**18 წმინდა დამდგარი ზარალები (გაგრძელება)**

2019 და 2018 წლებში დადებული ხელშეკრულებებისთვის დამდგარი ზარალების განაწილება პროდუქტების ტიპების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

	ანაზღაურებული ბი	განცხადებული ბი	მთლიანი ბი	გადამზღვეული სწილი	გადამზღვეული განცხადებული წილი	გადამზღვეულის ზღვების წილი
<b>2019</b>						
სიცოგბლის დაზღვევა	7,922	5,655	13,577	7,130	5,090	12,220
აგტოდაზღვევა	760,169	88,377	848,546	400,599	61,020	461,619
ქონების დაზღვევა	52,995	95,409	148,404	44,862	95,409	140,271
ავაციის დაზღვევა	583,460	-	583,460	583,460	-	583,460
მესამე მხარის პასუხ (სავ დაზ)	122,742	43,015	165,757	-	-	-
სხვა	575	5,400	5,975	460	1,919	2,379
<b>სულ</b>	<b>1,527,863</b>	<b>237,856</b>	<b>1,765,719</b>	<b>1,036,511</b>	<b>163,438</b>	<b>1,199,949</b>

	ანაზღაურებული ბი	განცხადებული ბი	ზარალები სულ	გადამზღვეული ანაზღაურებული წილი	გადამზღვეული განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებული წილი	გადამზღვეული წილი ზარალებში სულ
<b>2018</b>						
ავტოდაზღვევა	49,953	30,800	80,753	21,981	9,840	31,821
მესამე მხ პასუხ (სავალდ დაზ ცენ)	51,110	52,046	103,156	-	-	-
<b>სულ</b>	<b>101,063</b>	<b>82,846</b>	<b>183,909</b>	<b>21,981</b>	<b>9,840</b>	<b>31,821</b>

**20 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები**

	2019	2018
ხელფასები ბონუსები დაზღვევა და სხვა ბენეფიტები	898,411 233,240 29,272	242,644 81,813 -
მთლიანი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	<b>1,160,923</b>	<b>324,457</b>

სს პუალინგ და ზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარაზიგბი - 2019 წლის 31 თებერვალი

**21 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

	2019	2018
მარკეტინგი	229,180	31,923
საზედამხედველო მოსაკრ	78,234	30,913
ქირა	64,939	21,000
აუდიტი და კონსულტაცია	43,943	23,799
ფოსტა, ტელეკომუნიკაცია, კომუნალურები	22,122	2,493
სამივლინებო	13,875	1,281
ბანკის და სხვა საკომისიოები	7,492	2,446
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,106	4,767
ჯარიმები და საურავები	4,500	3,500
ტრენინგის ხარჯებიბი	1,250	-
რემონტი	480	696
სხვა ადმინ ხარჯები	84,013	22,581
<b>საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სულ</b>	<b>556,134</b>	<b>145,399</b>

პროფესიული მომსახურების ხარჯში შედის 42 ათასი ლარი (2018: 16 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების თანხა, ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**22 სხვა საოპერაციო ხარჯები**

	2019	2018
BMTPL მენეჯმენტის ხარჯი	260,396	188,317
სხვა ხარჯები	891	93,258
<b>ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები სულ</b>	<b>261,287</b>	<b>281,575</b>

**23 გაუფასურების რეზერვი**

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები შემოსავლების ცვლილება მოცემულია ქვემოთ:

დაზღვევიდან მისაღ შემოს	გადაზღვევიდან მისაღ შემოს
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	-
ხარჯი	(70,587)
<b>2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(70,587)</b>

აქტივების გაუფასურების რეზერვი აკლდება დაკავშირებული აქტივების საბალანსო ღირებულებას.

## 24 მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი შედეგება შემდეგისგან:

	2019	2018
მიმდინარე გადასახადის ხარჯი გადავადებული გადასახადი (კრედიტი)/ხარჯი	289,813 (3,303)	281,692 (6,547)
<b>Income tax expense for the year</b>	<b>286,510</b>	<b>275,145</b>

კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 15% (2018: 15%).

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ცნობილი გახდა კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელის სახელით). მის თანახმად, დაბეგვრის მომენტი დასაბეგვრი მოგების მიღებიდან გადადის მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

2018 წლის 28 დეკემბერს კანონში მორიგი ცვლილება შევიდა. ფინანსური დაწესებულებისთვის გადასახადით დაბეგვრის ახალ სისტემაზე გადასვლა სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად 2019 წლის 1 იანვრისა.

ახალი საგადასახადო სისტემის ამგვარი ბუნების გამო, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს აქტივების საგადასახადო ზაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან სხვაობები არ ექნებათ. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

## 25 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ოფსეტირება

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფსეტირებას, ურთერთჩათვლას და მსგავს შეთანხმებებს დაქვემდებარებული ფინანსური ინსტრუმენტები შემდეგი იყო:

	2019			2018 (ხელახლა განცხ)		
	ბრუტო თანხები ოფსეტირებ ამდე	ოფს ტირებუ ლი	წმინ და თანხა ოფსეტირ ებამ ბრუტო თანხები	ბრუტო თანხები ოფსეტირებამ დე	ოფს ტირებუ ლი	წმინ და თანხა ოფსეტირ ებამ ბრუტო თანხები შემდეგ
	(a)	(b)	(c) = (a) - (b)	(a)	(b)	(c) = (a) - (b)
გადაზღვის მისაღ შემოს	1,171,827	1,171,827	-	192,449	192,449	-
<b>მთლიანი აქტივები დაქვემდებარებული ოფსეტირებას ურთიერთჩათვლას და მსგავს შეთანხმებებს</b>	<b>1,171,827</b>	<b>1,171,827</b>	-	<b>192,449</b>	<b>192,449</b>	-
გადაზღ გასასახ ხარჯები	4,011,876	1,171,827	2,840,049	1,898,755	192,449	1,706,306

სს პუალინგ და ზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარაზიგბი - 2019 წლის 31 დიკმბერი

---

მთლიანი ვალდ	
დაქვემდებარებულ	
ი ოფსეტირებას	
ურთიერთჩათვლას	4,011,876
და მსგავს	1,171,827
შეთანხმებებს	2,840,049
	1,898,755
	192,449
	1,706,306

---

## 26 კაპიტალის მართვა

### (a) კაპიტალის მართვის ამოცანები, პოლიტიკა და მიღებობა

კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანაა კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნება და უწყვეტი მეთვალყურეობა, კომპანიის რისკის პროფილის შესაბამისად. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება,
- მყარი ფინანსური პოზიციის შენარჩუნება საქმიანობის გაფართოების მხარდასაჭერად და დამზღვევების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკამაყოფილებლად;
- სადაზღვეო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება, დაფარვის დროისთვის და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულება; და
- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კაპიტალის ადეკვატური რესურსების მუდმივი შენარჩუნება და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესრულება კომპანიის ინტერესს წარმოადგენს. კომპანიის კაპიტალის მთავარი წყაროა დაფინანსება აქციების გამოშვებით. კაპიტალის მძლავრი ბაზის შენარჩუნებას კომპანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა მას საშუალება ჰქონდეს ზრდის მომგებიანი შესაძლებლობები აამოქმედოს და შეამციროს დიდი ზარალის შემთხვევების ეფექტები.

კაპიტალის მონიტორინგისა და მართვის პროცესში კომპანიამ დანერგა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის კონტროლის მექანიზმები, რათა წამყვან ქართულ ბანკებში მუდმივად ჰქონდეს განთასებული მინიმალური ფულადი სახსრები.

საქართველოს დაზღვევის სექტორის მარეგულირებელია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს სადაზღვეო კომპანიებისთვის დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიზანია გადახდისუნარიანობის საკმარისი მარჯების უზრუნველყოფა.

საქართველოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური აწესებს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მოითხოვს 4,200 ათასი ლარის კაპიტალის ოდენობას, რომლის 100% უნდა განთავსდეს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში.

სს ჰუალინგ დაზღვევა 2019 და 2018 წლების განმავლობაში აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

### (b) მარეგულირებლის მოთხოვნები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 20 აპრილის 04 დირექტივის თანახმად, პერიოდის განმავლობაში მინიმალური კაპიტალი არ უნდა იყოს 2,200 ათას ლარზე ნაკლები. კომპანიას ეს თანხა უნდა ჰქონდეს ან ფულის და ფულის ეკვივალენტების, ან ბანკებში არსებული ბალანსების სახით. 2018 წლის დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა 4,200 ათას ლარამდე გაიზარდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა კაპიტალის ყველა დაწესებულ მოთხოვნას.

## სს პუალინგ დაზღვება

თინანსური ანარიშმის ანმარაზიგზი - 2019 წლის 31 თებერვალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოუშვა #15 და #16 დირექტივები, გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟისა და საზედამხედველო კაპიტალის შესახებ, შესაბამისად. კანონი ასევე აწესებს მოთხოვნებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვრის შენარჩუნებაზე გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის ოდენობით. 2017 წელი ამ დირექტივების დანერგვის თვალსაზრისით გარდამავალი პერიოდი იყო, ზემოაღნიშნული მოთხოვნები შემდეგნაირად დაკმაყოფილდა:

- 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 50% ან 2,200 ათასი ლარი;
- 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 75% ან 2,200 ათასი ლარი;
- 2018 წლის 1 იანვრიდან პერიოდში საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს მინიმუმ გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარჟის 100% ან 2,200 ათასი ლარი;
- 2018 წლის 1 დეკემბრიდან ათვლილი პერიოდის განმავლობაში საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს მინიმუმ გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარნის 100% ან 4,200 ათასი ლარი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება IFRS-ის მიხედვით აღრიცხული კაპიტალის საფუძველზე, რომელიც განიცდის კორექტირებას, მაგალითად, შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებში ინვესტიციების, არაუზრუნველყოფილი სესხების და გადასახდელი ხარჯების და ა.შ. მიხედვით, როგორც ამას საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №16 დირექტივა ითვალისწინებს.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის კომპანია სრულად აკმაყოფილებდა საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას - გადახდისუნარიანობის ნორმატიული მარნის 100%-ს.

## 27 სადაზღვეო რისკის მართვა

### (a) რისკების მართვის ამოცანები და სადაზღვეო რისკის შემცირების პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი სადაზღვეო საქმიანობას წარმოადგენს ზარალის რისკის აღება ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც ამ რისკის წინაშე დგანან. ასეთი რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს სიცოცხლეს, ავტომობილს და სხვა არა-ჯანდაცვის სეგმენტებს, როგორიცაა ქონების, ვალდებულების, ტვირთის, მოგზაურობის და სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება სადაზღვეო შემთხვევის შედეგად წამოიშვას. კომპანია წინასწარ ვერ საზღვრავს სადაზღვეო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის დადგომის დროსა და მოცულობას. აქ მთავარ რისკს წარმოადგენს ის, რომ შეიძლება ზარალის სიხშირე და მოცულობა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდეს. სადაზღვეო შემთხვევებს მოცულოდნელობა ახასიათებს და წლის განმავლობაში მათი რეალური სიხშირე და მოცულობა, შესაძლოა განხვავდებოდეს სტატისტიკური მეთოდებით მიღებული პროგნოზებისგან.

თავისი სადაზღვეო და საინვესტიციო საქმიანობით კომპანია ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. კომპანია სადაზღვეო რისკს მართავს რისკების კონცენტრაციის გადაზღვევით, ანდერრაიტინგის ლიმიტებით, ტრანზაქციების დამტკიცების პროცედურებით და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

### (i) ანდერრაიტინგის სტრატეგია

კომპანიის ანდერრაიტინგის სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაცია, რათა მის პორტფელში ყველა დროს იყოს სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან დაუკავშირდებული რისკი და რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, გადანაწილებული იყოს დიდი რაოდენობის პოლისებზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ ეს მიდგომა ამცირებს რეალურად დამდგარი შედეგების ცვალებადობას.

ანდერრაიტინგის სტრატეგია კომპანიის სადაზღვეო რისკის მართვის პოლიტიკის ნაწილია. სტრატეგია ხორციელდება ანდერრაიტინგის გაიდლაინებით, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ანდერრაიტინგის წესები პროდუქტის თითოეული ტიპისთვის. გაიდლაინებში მოცემულია კონცეფციები და პროცედურები, დამახასიათებელი რისკის აღწერა, პირობები, უფლებები და მოვალეობები, დოკუმენტაციის მოთხოვნები, ხელშეკრულებების/პოლისების ნიმუშები, მოქმედი ტარიფების დასაბუთება და ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება მოქმედ ტარიფებზე იმოქმედოს. ტარიფის გამოთვლა ითვალისწინებს ალბათობასა და ვარიაციას.

ანდერრაიტინგის ინსტრუქციების დაცვას მუდმივად აკონტროლებს გენერალური დირექტორის მოადგილე. დირექტორთა საბჭო ასევე რეგულარულად უწევს მეთვალყურეობას ზარალების მაჩვენებლებს და ტენდენციებს და ბიზნესის მომგებიანობას. რეგულარული ანალიზი დირექტორთა საბჭოს საშუალებას აძლევს შესაბამისი რეაგირება გაკეთოს და საჭირო ცვლილებები შეიტანოს პროდუქტების ფასებში/მახასიათებლებში, რათა კომპანიამ შეძლოს ზარალის სასურველი სიდიდის შენარჩუნება.

### (ii) გადაზღვევის სტრატეგია

კომპანია უზრუნველყოფს მისი ანდერრაიტინგის ქვეშ მყოფი რისკების ნაწილის გადაზღვებას, რათა აკონტროლოს მისი პოზიციები ზარალებზე და დაიცვას კაპიტალის რესურსები. კომპანია თავისი საქმიანობის ყველაზე მსხვილი მიმართულებებისთვის - სიცოცხლის, კასკო, ტვირთების, მესამე მხარის პასუხისმგებლობის და ქონების დაზღვევისთვის - ყიდულობს სავალდებულო გადაზღვებას და ასევე ფაულტატურად გადააზღვევს ხსნებული პროდუქტების ყველა იმ რისკს, რომლებიც არ არის სავალდებულო დაზღვევის ლიმიტის ნაწილი.

გადაცემული გადაზღვევა შეიცავს საკრედიტო რისკს. და ასეთი გადაზღვევიდან ამოსაღები თანხები აღირიცხება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გამოაკლდება ცნობილი გადახდისუუნარობის და უიმედო

## **სს პუალინგ დაზღვება**

**თინანსური ანარიშმის ანმარაზიზი - 2019 წლის 31 თებერვალი**

ვალდებულებების შესაბამისი მუხლები. კომპანია მუდმივ მეთვალყურეობას უწევს გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას. ის პერიოდულად ამოწმებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს და გადამზღვევლების საერთაშორისო რეიტინგებს.

### **(8) სადაზღვეო ხელშეკრულებების პირობები და დაზღვეული რისკის ბუნება**

ქვემოთ განხილულია სადაზღვეო ხელშეკრულებების პირობები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს სადაზღვეო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამომავლო ფულადი ნაკადების მოცულობაზე, ვადებსა და განუსაზღვრელობაზე. გარდა ამისა, შეფასებულია კომპანიის ძირითადი პროდუქტები და მათთან დაკავშირებული რისკების მართვის მეთოდები.

## 26 სადაზღვეო რისკების მართვა (გაგრძელება)

### (i) ავტოდაზღვევა

#### პროდუქტის

##### მახასიათებლები

კომპანის აქვს ორი ტიპის ავტოდაზღვევა, ავტომობილის სრული დაზღვევა („კასკო“) და მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა. კასკო ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად დამდგარი ზარალი; მესამე პირის წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის მფლობელის მიერ, სადაზღვეო პერიოდში, მსუბუქი ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად, მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ავტოდაზღვევა ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნების მოკლე დროში წარმოდგენას და დაკმაყოფილებას.

როგორც წესი, სწრაფად ხდება იმ ზარალის შესახებ შეტყობინება, რომლებიც ითვალისწინებს დამზღვევისთვის ავტომანქანის ფიზიკური დაზიანების ან დაკარგვის ანაზღაურებას. უფრო დიდი დრო ესაჭიროება იმ შედარებით რთულად შესაფასებელ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება სხეულის დაზიანებას.

#### რისკის მართვა

ზოგადად, ავტოდაზღვევის ზარალის მოთხოვნა მცირედ იწელება დროში, ზარალის კომპლექსურობაც, როგორც წესი, დაბალია. საერთოდ, ამ მიმართულებით ზარალის ანაზღაურების ვალდებულებებთან დაკავშირებული პროგნოზირების რისკი ზომიერია. კომპანია მეთვალყურეობას უწევს და რეაგირებს რემონტის, მკურნალობის ხარჯების და ქურდობისა თუ უბედური შემთხვევების სიხშირეზე.

ამინდის გაუარესება გავლენას ახდენს სადაზღვეო მოთხოვნების სიხშირეზე. ამიტომ, ზარალის მოცულობა ზამთრის თვეებში უფრო მაღალია. ავტოდაზღვევის ყველა ტიპისთვის რისკები ფასდება კომპანიის არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

### (ii) ქონების დაზღვევა

#### პროდუქტის

##### მახასიათებლები

კომპანია იზიდავს ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა მოიცავს კორპორაციულ და საცალო პაკეტებს. ქონების დაზღვევა პოლისის მფლობელს უნაზღაურებს კუთვნილი მატერიალური ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად განცდილ ზარალს გარკვეული ლიმიტების ან გადაჭარბების ფარგლებში.

შენობების ან შენობების შიგთავსის დაზიანების შემთხვევები მოულოდნელად ხდება (ხანძარი და ძარცვა) და მიზეზის დადგენა ადვილია. შესაბამისად, ზარალის შესახებ შეტყობინება და მისი ანაზღაურება დაგვიანების გარეშე ხორციელდება. ქონების დაზღვევის მიმართულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლე ვადის მქონე.

#### რისკის მართვა

ამ პროდუქტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია: ანდერრაიტინგის რისკი, კონკურენციის რისკი და ზარალების გამოცდილების რისკი (მათ შორის სტიქიური უბედურებების ცვალებადი ალბათობა). კომპანია ასევე დგას მომთხოვნის წარმდგენთა მხრიდან გადაჭარბების და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკის წინაშე.

## 26 სადაზღვეო რისკების მართვა (გაგრძელება)

ანდერრაიტინგის რისკი არის ის რისკი, რომ კომპანიის მიერ დაწესებული პრემია არ იქნება მის მიერ დაზღვეული ქონების ადეკვატური. კომერციული ქონების დაზღვევის ბევრი შეთავაზება მოიცავს ადგილმდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციას. ასეთი პოლისების რისკის ადეკვატური პრემიის გაანგარიშება სუბიექტური და, შესაბამისად, რისკიანი საქმეა.

ეს რისკები, ძირითადად, ფასებით და გადაზღვევის პროცესებით იმართება. კომპანია ანდერრაიტინგის მკაცრ კრიტერიუმებს იყენებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზარალის რისკი მისთვის მისაღები იყოს. ის თავის ქონების რისკებს გადააზღვევს ზარალის ექსცედენტის, თანხის ექსცედენტის, სტიქიური უბედურებების გადაზღვევის ხელშეკრულებებით.

### (iii) სიცოცხლის

#### დაზღვება

#### პროდუქტის

#### მახასიათებლები

კომპანია იზიდავს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც სადაზღვეო შემთხვევას წარმოადგენს პოლისის მფლობელის გარდაცვალება ან მუდმივი ქმედულნარობა. მფლობელი დაზღვეულია ფინანსური დაწესებულების წინაშე დარჩენილ დავალიანებაზე წინასწარ განსაზღვრული ოდენობით.

#### რისკის მართვა

კომპანიის ანდერაიტინგის სტრატეგიის ფოკუსია, რომ რისკები კარგად იყოს დივერსიფიცირებული საქმიანობის სფეროებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით. კომპანიას უფლება აქვს, უარი თქვას სადაზღვეო ანაზღაურების გაცემაზე თაღლითური მოთხოვნის აღმოჩენის შემთხვევაში. კომპანია სიცოცხლის დაზღვევის ყველა რისკისთვის იყენებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს და რისკის პოზიცია განსაზღვრული აქვს მთლიანი ზარალის 10%-ზე. ამ პროდუქტთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკია უბედური შემთხვევის თარიღსა და ზარალის განცხადების თარიღს შორის დროის ინტერვალის არსებობა. ამ რისკის გამო იქმნება სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებისთვის დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი, რომელიც გამოითვლება ჯაჭვის კიბის სტატისტიკური მეთოდებით.

### (iv) ავაციის დაზღვება

#### პროდუქტის

#### მახასიათებლები

კომპანია გასცემს ავიაციის დაზღვევის ხელშეკრულებებს. ამ დროს რისკები წარმოადგენს საპარო ხომალდის კორპუსის, მგზავრების და ეკიპაჟის, მესამე მხარეების და მათი ქონებისთვის მიყენებულ ზიანს.

#### რისკის მართვა

ავიაციის ყველა ხელშეკრულება წარმოადგენს მომიჯნავე ხელშეკრულებებს, რაც ნიშნავს, რომ რისკი

**სს პუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანარიშმის ანმარზობი - 2019 წლის 31 თებერვალი**

---

26 დაუცემა აუთეტიფიკაციას კომისიის წარმომადგენლიური ფარავს დაზღვეული კლიენტების მიერ გაკეთებულ ანაზღაურების მოთხოვნებს. მთლიანი მოზიდული პრემიების 100% გადაეცემა გადამზღვევებს, კომპანია კი გადამზღვევისგან იღებს საკომისიო შემოსავალს.

**(b) სადაზღვეო რისკის კონცენტრაცია**

კომპანიის სადაზღვეო რისკის მთავარი ასპექტია სადაზღვეო რისკის კონცენტრაციის სიდიდე, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც გარკვეულმა შემთხვევამ ან შემთხვევებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება გამოიწვიოს ერთმა სადაზღვეო ხელშეკრულებამ ან რისკის საერთო მახასიათებლების მქონე რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულმა ხელშეკრულებამ, და უკავშირდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს წარმოშობს. სადაზღვეო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ იგი შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ინდივიდუალურ კლასებში ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ტრანშებში რისკების კონცენტრაციის შედეგად.

რისკის კონცენტრაცია შეიძლება მოხდეს როგორც სერიოზული დანაკარგების გამომწვევი დაბალი სიხშირის შემთხვევების დროს, როგორიცაა, მაგალითად სტიქიური უბედურებები, ისე სიტუაციებში, როგორც ანდერრაიტინგი გარკვეული კომპანიის, მაგალითად, გარკვეულ გეოგრაფიული არეალის სასარგებლოდ იხრება.

ამგვარ რისკებს კომპანია ორმაგი მეთოდით მართავს. ერთი მხრივ, რისკები იმართება სათანადო ანდერრაიტინგით. ანდერრაიტერებს არ აქვთ რისკების დაზღვევის უფლება, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება აღებულ რისკს. მეორე მხრივ, რისკი იმართება გადაზღვევის მეშვეობით. კომპანია იძენს გადაზღვევის პაკეტებს თავისი სხვადასხვა კლასის ავტო, სიცოცხლის და ქონების მიმართულებებისთვის. კომპანია მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სარგებელს.

**(c) ზარალების განვითარება**

ინფორმაცია ზარალების განვითარების შესახებ წარმოდგენილია კომპანიისთვის დამახასიათებელი სადაზღვეო რისკის საილუსტრაციოდ. ცხრილში სადაზღვეო შემთხვევების დადგომის წლების მიხედვით გადახდილი ზარალი შედარებულია ამ ზარალისთვის შექმნილ რეზერვებთან. საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება ან მცირდება, როგორც ზარალი იფარება და მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალის სიხშირისა და სიმძიმის შესახებ. ცხრილის ქვედა ნაწილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული მთლიანი რეზერვებისა და პროგნოზირებული კუმულაციური ზარალის რეკონსილიაცია. ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეხება წინა წლებში ასანაზღაურებელი ზარალის შესახებ გაკეთებული პროგნოზების ადეკვატურობას, თუმცა ამ ფინანსური ანგარიშგებების მკითხველებს ეძღვევა გაფრთხილება, თავი შეიკავონ მიმდინარე გადაუხდელი ზარალის ნაშთებზე წარსულის ზედმეტობების ან დანაკლისების ექსტრაპოლაციისგან. კომპანიას სჯერა, რომ 2019 წლის ბოლოსთვის აუნაზღაურებელი მთლიანი მოთხოვნების პროგნოზი ადეკვატურია.

**26 სადაზღვევო რისკების მართვა (გაგრძელება)**

<b>კუმულაციური ზარალ საპროგნ მაჩვ (გარდა მმპ)</b>	<b>2018</b>	<b>2019</b>
შემთხვევის წელი ერთი წლის შემდეგ	80,753 78,471	1,571,444 -
<b>დამდგარი ზარალების მიმდ საპროგნ მაჩვენ</b>	<b>78,471</b>	<b>1,571,444</b>
შემთხვევის წელი ერთი წლის შემდეგ	(49,953) (78,471)	(1,376,603) -
<b>კუმულატიური გადახდები დღემდე</b>	<b>(78,471)</b>	<b>(1,376,603)</b>
<b>ბრუტო დაუფარავი ზარალების რეზერვი</b>	-	<b>194,841</b>

განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალები შეადგენდა 43 015 ლარს. მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის განცხადებული მაგრამ აუნაზღაურებელი ზარალი შეადგენდა 43,015 ლარს.

**(d) გადაზღვევის რისკი**

კომპანია გადასცემს დაზღვევის რისკს, რათა შეამციროს ანდერრაიტინგის ზარალის მოცულობა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. გადაზღვევის ხელშეკრულებებით რისკი გადანაწილდება და მინიმუმადე დაიყვანება ზარალის ეფექტი. თითოეული შენარჩუნებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს კომპანია ამ კონკრეტულ რისკს. გადაზღვევის ხელშეკრულებების პირობებით, გადამზღვეველი თანხმდება, რომ აანაზღაუროს გადაცემული თანხა ზარალის დაფარვის შემთხვევაში. თუმცა, კომპანიას რჩება ვალდებულება თავისი პოლისების მფლობელების მიმართ გადაცემულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, თუ გადამზღვეველი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. გადამზღვევლის შერჩევისას კომპანია ითვალისწინებს მის კრედიტუნარიანობას, რაც განისაზღვრება საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

**28 სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**

**(a) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

კომპანიის მთელი რიგი სააღრიცხვო პოლიტიკა და გამუდავნებები მოითხოვს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებას. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრება გამუდავნების მიზნებს ემსახურება.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია იყენებს ბაზარზე არსებულ მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების კატეგორიები სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე ყალიბდება, იმის მიხედვით, თუ რა ამოსავალ მონაცემებს იყენებს შეფასების მეთოდი:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორეტირებული) აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2: პირველ დონეზე კლასიფიცირებული კოტირებული ფასების გარდა სხვა ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულების შესახებ, პირდაპირ (ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ფასებიდან მიღებული) და
- დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზარზე არსებულ მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

**26 სადაზღვევო რისკების მართვა (გაგრძელება)**

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების კატეგორიზაცია შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეზე, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების კატეგორიზაცია მთლიანად ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეზე, რომელზეც მთლიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემი.

სს პულინგ და ზღვება

ფინანსური ანგარიშების განმარტებები - 2019 წლის 31 დეკემბერი

**27 სამართლიანი ღირებულებები და რისკების მართვა (გაგრძელება)**

- (i) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომლის ღირებულებაც მეღავნდება:
- (ii)

	31-დე-19			31-დე-18			Total	
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	Level 1	Level 2	Level 3	
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	514,554	-	<b>514,554</b>	-	367,965	-	<b>367,965</b>
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	3,314,322	-	<b>3,314,322</b>	-	176,513	-	<b>176,513</b>
ვადიანი დეპოზიტები	-	3,926,002	-	<b>3,926,002</b>	-	5,859,177	-	<b>5,859,177</b>
სავალო ვალდებულება	-	300,095	-	<b>300,095</b>	-	-	-	-
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>-</b>	<b>8,054,973</b>	<b>-</b>	<b>8,054,973</b>	<b>-</b>	<b>6,403,655</b>	<b>-</b>	<b>6,403,655</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	147,850	-	<b>147,850</b>	-	49,174	-	<b>49,174</b>
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>147,850</b>	<b>-</b>	<b>147,850</b>	<b>-</b>	<b>49,174</b>	<b>-</b>	<b>49,174</b>

მენეჯმენტის რწმენით, კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. მიზეზი კი ხსენებული ინსტრუმენტების უმეტესობის ხანმოკლე ვადიანობაა.

**(b) ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით**

შეფასების მიზნით, IFRS 9-ში “ფინანსური ინსტრუმენტები” ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მისაღები შემოსავლები, (ბ) სარეალიზაციო ფინანსური აქტივები, (გ) ფინანსური აქტივები ვადის დადგომამდე ფლობით და (დ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (“FVTPL”).

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგება-ზარალში ასახვით ორ ქვეკატეგორიად იყოფა: (i) აქტივები, რომლებიც ასეთად მიჩნეულია თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები. ამასთან, ფინანსური იჯარიდან მისაღები შემოსავლები ცალკე კატეგორიაა. საანგარიშგებო თარიღისთვის (ასევე 2018 ფინანსურ წელს) ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნებოდა (ა) კატეგორიას: სესხები და მისაღები შემოსავლები. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით იყო აღრიცხული.

**27 სამართლიანი ღირებულებები და რისკების მართვა (გაგრძელება)**

**(c) ფინანსური რისკების მართვა**

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო კომპანიას პოზიცია აქვს შემდეგ რისკებზე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

ამ განმარტებაში წარმოდგენილია ინფორმაცია რისკების თითოეულ ამ ტიპზე კომპანიის პოზიციის შესახებ, ასევე ინფორმაცია რისკების შეფასების და მართვისთვის საჭირო ამოცანების, პოლიტიკის და პროცესების შესახებ. შემდგომი რაოდენობრივი გამჯდავნებები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებშია მოცემული.

**(iii) რისკების მართვის სისტემა**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მენეჯმენტთან ერთად პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სისტემის შექმნასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შექმნასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულად ანგარიშის წარდგენაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და ანალიზი, შესაბამისი რისკების ლიმიტების და კონტროლების დაწესება, რისკების მონიტორინგი და ლიმიტების დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულ შემოწმებას გადის და მათზე აისახება საბაზრო პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებები. ტრენინგის და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით კომპანია მიზნად ისახავს შექმნას კონტროლის გამართული და კონსტრუქციული გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გათავისებული აქვს საკუთარი ფუნქციები და პასუხისმგებლობა.

სამეთვალყურეო საბჭო მეთვალყურეობას უწევს კომპანიის მენეჯმენტის მიერ კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების დაცვას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

**(iv) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეასრულებს მის მოვალეობებს, რითაც ფინანსურ ზარალს გამოიწვევს მეორე მხარისთვის.

კომპანია გარკვეულ რისკებს გადამზღვევ კომპანიებთან გადააზღვევს. გადამზღვევი კომპანიები შეირჩევა გადახდისუნარიანობის, სანდოობის და კრედიტუნარიანობის კრიტერიუმებით, რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, გადამზღვევების საერთამორისო საკრედიტო რეიტინგების შემოწმებას.

**საკრედიტო პოზიცია**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის კომპონენტების საკრედიტო რისკის მაქსიმალურ პოზიციას.

	31-დეკ-19	31-დეკ-18
საბანკო დეპოზიტები	7,240,324	6,035,690
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	3,725,714	2,097,066
ფული და ფულის ეკვივალენტები	514,554	367,965
საინვესტ ფას ქაღ ვადის ბოლომდე ფლობით	300,095	-

**სს პუალინგ და ზღვება  
მინანსური ანარიშიტის ანძარაზე გთი - 2019 წლის 31 თებერვალი**

---

<b>მთლიანი საკრედიტო პოზიცია</b>	<b>11,780,687</b>	<b>8,500,721</b>
----------------------------------	-------------------	------------------

---

**27 სამართლიანი ღირებულებები და რისკების მართვა (გაგრძელება)**

დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების ვადიანობა ანგარიშების თარიღისთვის შემდეგი იყო:

	<b>ბრუტო 2019 გაუფასურება 2019</b>	<b>ბრუტო 2018 გაუფასურება 2018</b>
ვადაგადაცილების გარეშე	1,360,544	- 781,536
0-90 დღით ვადაგადაცილ	1,958,677	11,746 1,315,530
91-180 დღით ვადაგადაც	213,157	28,855 -
181-270 დღით ვადაგადაც	21,673	9,670 -
271-365 დღით ვადაგადაც	33,039	19,490 -
ერთ ხელშე მეტით ვადაგადაც	1,336	826 -
<b>სულ</b>	<b>3,588,426</b>	<b>70,587 2,097,066</b> -

კომპანია არ დგას პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან როცა არის ობიექტური მტკიცებულება, რომ პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისის პრემიების გადადა, პოლისები უქმდება და მათთან ერთად უქმდება ამ პოლისებთან დაკავშირებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი.

365 დღის ვადაგადაცილების შემდეგ მენეჯმენტი, როგორც წესი, სრულად არეზერვებს დაზღვევიდან მისაღებ გაუფასურებულ შემოსავლებს.

**(v) ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია სირთულეებს წააწყდება თავისი ვალდებულებების დასაფარად საჭრო სახსრების მობილიზებაში. ლიკვიდობის რისკს ადგილი აქვს, როცა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა და/ან კონტროლირებული დაუმთხვევლობა ფინანსური ინსტიტუტების, და მათ შორის კომპანიის, მართვის ძირეული პრინციპია. ვადების სრული დამთხვევა უჩვეულოა ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რადგან, ბიზნეს-ტრანზაქციებს ხშირად გაურკვეველი ვადა აქვს და სხვადასხვა ტიპისაა. დაუმთხვეველმა პოზიციამ შესაძლოა გაზარდოს მომგებიანობა, მაგრამ ასევე გაზარდოს ზარალის რისკი.

ლიკვიდობის მართვისას კომპანიის ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ ყოველთვის ექნება სახსრები ფულად ნაკადებთან დაკავშირებით ვადადამდგარი ვალდებულებების გასასტუმრებლად. კომპანიის ლიკვიდობის პოზიციებს მენეჯმენტი ყოველთვიურად ამოწმებს.

**(vi) ვადაბანობის ანალიზი**

კომპანია ლიკვიდობის რისკებს ვადიანობის ანალიზის საშუალებით მართავს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების უმეტესობას ხელშეკრულების მიხედვით ვადა უდგება ანგარიშების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ. მენეჯმენტის წინასწარი შეფასებით, სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებებიდან გამომდინარე ფულადი ნაკადების გადინების ფრაფიკი არ აჭარბებს ერთ წელს.

**(vii) საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო ცვალებადი იქნება.

კომპანიის პოლიტიკა და პროცედურები ხელს უწყობს კომპანიის საბაზრო რისკის პოზიციის შემსუბუქებას და საშუალებას აძლევს დაწესოს და აკონტროლოს აქტივების განაწილება და პორტფელის ლიმიტების სტრუქტურები.

**(viii) სავალუტო რისკი**

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთზე მეტ ვალუტაშია დენომინირებული. თუ ერთი ვალუტის აქტივები და ვალდებულებები არ ემთხვევა, კომპანიას აქვს ღია სავალუტო პოზიცია და გაცვლითი კურსის არასახარბიელო ცვლილებების ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს.

მენეჯმენტი პასუხს აგებს გაცვლითი კურსის და სავალუტო ბაზრების განვითარების მუდმივ მონიტორინგზე. კომპანია აპირებს დახუროს სავალუტო პოზიციები და უზრუნველყოფს, რომ ღია სავალუტო პოზიცია ყველა დროს ლიმიტების ქვეშ იყოს მოქცეული.

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარტინგი – 2019 წლის 31 თებერვალი**

**27 სამართლიანი ღირებულებები და რისკების მართვა (გაგრძელება)**

კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას მირითადად დაზღვევიდან მისაღები შემოსავლების და გადასახდელი ხარჯების ნაწილში, რომლებიც ამჟ დოლარსა და ევროშია დენომინირებული. კომპანიის სავალუტო რისკის პოზიცია ასეთი იყო.

	აშშ დოლარში დენომ 31 დეკ 2019	ევროში დენომ 31 დეკ 2019	აშშ დოლარში დენომ 31 დეკ 2018 (ხელახლა განცხ)
ფული და ფულის ევივალუნტები	1,013	-	10,459
დაზღვევიდან მისაღები შემოსავლები	2,784,080	5,556	1,828,597
სადაზღ ხელშპ რეზერვების გადაც წილი	2,860,653	8,294	1,814,712
სადაზღ ხელშეკრ რეზერვები	(3,308,898)	(5,890)	(2,094,504)
გადაზღვევაზე გადასახდელი ხარჯები	(2,798,823)	(5,669)	(1,671,065)
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>(461,975)</b>	<b>2,291</b>	<b>(111,801)</b>

გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთები:

ლარით	საშუალო კურსი 2019	სპოტ კურსი საანგ დღე 31 დეკ 2019
	საშუალო კურსი 2018	სპოტ კურსი საანგ დღე 31 დეკ 2018
USD	2.8192	2.8677
EUR	3.1553	3.2095

**სენსიტიურობის ანალიზი**

ლარის გონივრული გამყარება (დაცემა) აშშ დოლარის და ევროს მიმართ 31 დეკემბერს, როგორც ქვემოთა ნაჩვენები, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე მოახდენდა გავლენას და ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით იმოქმედებდა კაპიტალსა და დაბეგვრისშემდგომ მოგება-ზარალზე. ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია. (20% ცვლილების გამოყენების მიზეზი დასაბუთებულია განმარტება 31-ში).

	გა მყარება	დაცემა
	მოგება ან ზარალი და კაპიტალი	მოგება ან ზარალი და კაპიტალი

**31 დეკემბერი 2019**

USD (20% ცვლილება)	92,395	(92,395)
EUR (20% ცვლილება)	(458)	458

**31 დეკ 2018**

USD (20% ცვლილება)	22,360	(22,360)
--------------------	--------	----------

**(ix) საპროცენტო განაკვეთს რისკი**

საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ფინანსურ მდგომარეობაზე და კომპანიის ოპერაციების შედეგებზე.

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ ჰქონდა პოზიცია მცურავი კურსის მქონე საპროცენტო 40

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარტინბი – 2019 წლის 31 თებერვალი**

---

ინსტრუმენტზე, ამიტომ, მენეჯმენტის რწმენით, კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიცია.

## 29 პირობითი ვალდებულებები

### (d) სასამართლო საქმეები

საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში კომპანია ხდება ძირითადად ზარალთან ან სუბროგაციის გადახდებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების მხარე. საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი სასამართლო დავები, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### (e) საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რომლებიც ხშირად გაუგებარი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დამატებითი საგადასახადო ვალდებულების, ჯარიმების ან საურავების დაკისრება, თუ იმ წლის შემდეგ, როცა დარღვევას ჰქონდა ადგილი, ოთხი წელია გასული.

ამ გარემოებებს შეუძლია საქართველოში საგადასახადო რისკის შექმნა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტის რწმენით, საქართველოს შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, ის ადეკვატურად მოემსახურა ყველა საგადასახადო ვალდებულებას. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავებული იყოს და გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებზე, და ეს გავლენა შეიძლება მნიშვნელოვანიც იყოს, თუკი ეს უწყებები წარმატებით შეასხამენ ხორცს თავიანთ ინტერპრეტაციებს. (განმარტება 18)

## 30 დაკავშირებული მხარეები

### (a) მშობელი კომპანია და საბოლოო კონტროლის მქონე მხარე

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო საქართველოში მოქმედი სს „ბაზისბაზკი“. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო აქციონერი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაარსებული შპს „სინძიანგ ჰუალინგ ინდასტრი ენდ თრეიდ (ჯგუფი) კომპანია. (92.305%), ბ-ნი მი ზაიქი (6.969%) და სხვა მცირე წილის მფლობელები (0.726%). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბოლოო აქციონერებთან არსებული ნაშთები შეადგენდა სადაზღვევო ხელშეკრულებების რეზერვებს თანხით 11,889 ლარ; 2019 წლის განმავლობაში საბოლოო აქციონერებთან ტრანზაქციები შეადგენდა გამომუშავებულ პრემიას 13,340 ლარს და სავალუტო მოგებას 610 ლარს. 2019 და 2018 წლებში ბალანსი ან ცვლილება არ ყოფილა.

### (b) მთავარი მენეჯმენტის ანაზღაურება

მთავარი მენეჯმენტი გულისხმობს დირექტორებს (აღმასრულებელი).

	2019		2018	
	ხარჯი	დარიცხვალდ	ხარჯი	დარიცხვალდ
ხელფასები და ბონუსები	352,759	100,377	62,625	-
დასაქმებისშემდგ ბენეფიტები და დაზღვევა	1,656	-	220	-
<b>მთავ მენეჯმენტის კომპენსაცია სულ</b>	<b>354,415</b>	<b>100,377</b>	<b>62,845</b>	<b>-</b>

**სს პუალინგ დაზღვევა  
თინანსური ანარიშმის ანბარზოგი – 2019 წლის 31 თებერვალი**

**29 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)**

**(c) ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან**

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებული ხარჯები და შემოსავალი შემდეგია:

2019	2018				
ბიზნესერთეულები საერთო კონტროლის ქვეშ*	მშობე ლი კომპანია	სხვა*	ბიზნესერთეულები საერთო კონტროლის ქვეშ*	მშობე ლი კომპანია	სხვა
<b>აქტივები</b>					
ფული და ფულის ეკვივალენტი საბანკო დეპოზიტები დაზღვევიდან მისაღ შემოს	- 131,454 - 54,701 106,413	- - 24,780	- - 841,424	- - -	24,222 4,009,998 247
<b>მთლიანი აქტივები</b>	<b>106,413</b>	<b>210,935</b>	<b>841,424</b>	-	<b>4,034,467</b>
<b>ვალდებულებები</b>					
სადაზღ ხელშეკრ რეზერვები გადასახდელი საკომისიოები	121,691 - 121,691	74,778 705 75,483	1,252,275 - 1,252,275	- - -	53,723 744 54,467
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>121,691</b>	<b>75,483</b>	<b>1,252,275</b>	-	<b>967,232</b>
<b>გარებალანსური; გარანტია</b>		<b>38,500</b>			<b>38,500</b>

2019	2018				
ბიზნესერთეულები საერთო კონტროლის ქვეშ*	მშობე ლი კომპანია	სხვა*	ბიზნესერთეულები საერთო კონტროლი ს ქვეშ*	მშობე ლი კომპანია	სხვა
<b>შემოსავლის ანგარიში</b>					
გამომუშ პრემია საპროცენტო შემოს ანაზღ ზარალები აუნაზღ ზარალ ცვლილება შესყიდვიდ ხარჯები უცხ ვალ მოგება/ზარალი	38,788 - 28,244 20,000 - - -	303,705 275,167 18,957 9,150 2,758 4,881	2,202,617 - 76,522 (6,825) - (5,559)	- - - - - -	391,522 396,056 816 708 385 5,574
<b>სულ</b>	<b>87,032</b>	<b>614,618</b>	<b>2,266,755</b>	-	<b>795,061</b>
					<b>1,005,091</b>

დაკავშირებულ მხარეებთან განთავსებულ საბანკო დეპოზიტებს ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%-11%-მდე.

საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ბიზნესერთეულები გულისხმობს სს ბაზისბანკის შვილობილ კომპანიებს. სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად შეადგენს ჰულინგ ჯგუფის წევრებს (საბოლოო აქციონერის შვილობილი კომპანიები და ა.შ.)

**31 შემდგომი მოვლენები**

2019 წლის შემდგომ პერიოდში სს პუალინგ დაზღვევა აკმაყოფილებდა საქართველოს დაზღვევის

**სს პუბლიზ დაზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარტინგი – 2019 წლის 31 თებერვალი**

სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან პირველად გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოს სიტუაცია ასეთი იყო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევის შესახებ აცნობეს. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და მისი ნეგატიური ზეგავლენა თვალსაჩინო გახდა.

COVID-19-ის ეპიდემიამ საქართველოს სადაზღვევო სექტორზეც იქმნია ზეგავლენა. ცვლილებებს განიცდის სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის პროცესი, მომზმარებელთა ქცევა და შეძენის სურვილი.

მენჯმენტს მიაჩნია, რომ პანდემია ისეთი საბალანსო უწყისის შემდგომი მოვლენაა, რომელიც კორექტირებას არ ექვემდებარება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების დროს სიტუაცია კვლავ ვითარდება. დღემდე კომპანიის გაყიდვებზე თუ მიწოდების ჯაჭვზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა არ დაფიქსირებულა, თუმცა სამომავლო ეფექტების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. მენჯმენტმა ბიზნესის რამდენიმე ასპექტზე იმსჯელა და რისკები შემდეგნაირად შეაფასა:

მოლოდინები მთლიან მოზიდულ პრემიებთან დაკავშირებით:

1. მენჯმენტი მოელის ბაზარზე საცალო სადაზღვევო აქტივობის მნიშვნელოვან შემცირებას. კარანტინის პერიოდი გამო, მცირდება მოსახლეობის სურვილი, შეიძინოს ავტოდაზღვევა (კომპანიის მთავარი პროდუქტი).
2. მოსალოდნელია კორპორაციული აქტივობის შემცირებაც, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბით.
3. ადგილობრივ სალიზინგო კომპანიებზე გაყიდული ავტოდაზღვევა კომპანიის წლიური მთლიანი მოზიდული პრემიების დიდ ნაწილს იკავებს. მირითადი კლიენტი კომპანიები არ შეაჩერებს სადაზღვევო პოლისებს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მათი ლიზინგის პორტფელი შემცირდება, შესაბამისად, ნაკლები პოლისი გაიყიდება.
4. სიცოცხლის დაზღვევის მთლიანი მოზიდული პრემიების ზრდა მშობელი კომპანიის, სს ბაზისბანკის საკრედიტო პორტფელზე მიბმული. ბანკი არ მოელის საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვან ზრდას, შესაბამისად, კომპანია 2020 წლის პირველ კვარტალში მთლიანი მოზიდული პრემიების იმავე დონეს შეინარჩუნებს.
5. ტურიზმის შეზღუდვების გამო სავალდებულო დაზღვევის ცენტრიდან მიღებული შემოსავალი სავარაუდოდ შემცირდება.

მოლოდინები ზარალებთან დაკავშირებით:

მენჯმენტი ფიქრობს დაზღვევის ყველა მიმართულებაზე იმავე ზარალის კოეფიციენტი შეინარჩუნოს, გარდა ავტოდაზღვევისა. ავტოდაზღვევის ზარალების სიხშირე და ზარალების კოეფიციენტი მოკლევადიან პერიოდში შემცირდება, მთავრობის მიერ დაწესებული სოციალური დისტანცირების წესების გამო, რაც ამცირებს ტრანსპორტირებასაც.

ვალუტის ეფექტი:

2020 წლის 14 აპრილის მდგომარეობით, ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებით 9%-ით დაუცა, ევროსთან - 6%-ით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გადაზღვევის გადასახდელი ხარჯების შესაბამისი დაუფარავი კონვერტაციის დანაკარგი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 260 ათას ლარს შეადგენს.

სავალუტო რისკის შეფასების მიზნით მენჯმენტმა ლარის კურსის 20%-იანი ცვლილება გამოიყენა (განმარტება 28).

**სს პუალინგ დაზღვება  
თინანსური ანარიშმის ანმარტინბი – 2019 წლის 31 თებერვალი**

---

მენეჯმენტი განაგრძობს COVID-19-ის შესაძლო ზეგავლენის მეთვალყურეობას და ყველა ნაბიჯს გადადგამს მისი ეფექტის შესამცირებლად. უფრო მეტიც, მენეჯმენტმა შეაფასა ფუნქციონირებადი საწარმოს საკითხი და ამზადებს პროგნოზის პროგნოზს განსხვავებული სცენარების მიხედვით. მაშინაც კი, თუ წეგატიური სიტუაცია მომდევნო თვეებში ისევ გაგრძელდება და უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს სადაზღვეო ბიზნესზე და შესაბამისად, შეამცირებს კომპანიის შემოსავალს, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ლიკვიდობის და კაპიტალის ადეკვატურობის საკმაოდ მაღალი დონის გამო, კომპანიას ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემა არ ექნება.